

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

უთანხმოება ირანის სანქციაზე

A8



აზერბაიჯანელი ჩაი და ქართული წყლის ნაყვა

A9



გაერთიანებული ბიზნისი

**„გაერთიანებული
ბიზნისი“
საახალწლო აქცია -
ინტერნეტის უფასო
ინსტალაცია
ერთი თვის
განმავლობაში**

A4

24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენი ვაჭრობის პარტნიორები



ოპოზიცია ერთიანობის ძიებაში

ვერიკო თევზაძე

ოპოზიციის მიერ ერთიანი კანდიდატის ძიების პროცესში გუშინ კითხვის ნიშნები გაჩნდა და გადაკრული გამონათქვამებიც გაისმა. მაშინ, როცა „ალიანსი საქართველოსთვის“ ოპოზიციურ ძალებს შორის მიმდინარე კონსულტაციებზე საუბრობდა, „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ „24 საათს“ განუცხადა, რომ მათ ირაკლი ალასანიას გუნდისგან ულტიმატუმები მოისმინეს.

ალასანიას გუნდის წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბრისას განმარტეს, რომ კონსულტაციების ამჟამინდელ ეტაპზე ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა ფორმით მოხდება კანდიდატის გამოვლენა - პრაიმერის საშუალებით თუ მოლაპარაკებების გზით.

ყველასთვის ცნობილია, რომ პოლიტიკურ მოძრაობას „ალიანსი საქართველოსთვის“ პრაიმერის იდეა თავიდანვე არ ხიბლავდა. ალასანიას წარმომადგენლები ამ თემაზე „24 საათისთვის“ მიცემულ კომენტარებში ყოველთვის „დეტალების დაზუსტების“ აუცი-

ლებლობაზე მიანიშნებდნენ.

გუშინ „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა, მემარჯვენე მანანა ნაჭყებია „24 საათს“ განუმარტა, რომ იანვარ-თებერვლისთვის ოპოზიციამ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

„ჯერჯერობით ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებობს ზოგადი შეთანხმება, რომ ერთიანი კანდიდატს დაასახელებენ“, - ამბობს ნაჭყებია. მისი თქმით, კონსულტაციები ჯერჯერობით ისეთ ფაზაში არ შესულა, რომ გაირკვეს, თუ რა ფორმით გამოვლინდება კანდიდატი.

მიუხედავად ამისა, ნაჭყებია ვარაუდობს, რომ პრაიმერი შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. „კანდიდატის გამოსავლენად სხვა საშუალებებიც არსებობს“, - დასძენს „მემარჯვენე“ პოლიტიკოსი.

„კონსულტაციები გრძელდება“, - დეტალების დაზუსტებაზე ზურაბ აბაშიძემაც თავი შეიკავა. ალასანიას პარტიის წევრი მოლაპარაკებების გზით კანდიდატის გამოვლენის მომხრეა: „ამით დაიზოგება დროც, ენერჯიაც და ფულიც.“

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

თემურ ქაცვარია: „ნაკრებში არავის არ ექნება გარანტირებული ადგილი“

მიხეილ აბაიშვილი

მოახლოებულ 2010 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები ფიფას რეიტინგში სამარცხვინო, 125-ე პოზიციაზე ხვდება. შესარჩევ ციკლში განცდილი სრული კრახი, ფედრაციის ხელმძღვანელობის გადადგომა, ფინანსური ქაოსი, რაც ამ პროცესებს ახლდა, ნინ უსწრებდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ ქაცვარიას დანიშნვას. ყოველივე ამის გამო ძალიან ძნელია გადამეტებული იმედები და მოლოდინი გქონდეს, თუმცა, თუნდაც ქართული ოპტიმიზმის გამო, მთლად უიმედოდ მაინც არ ვართ. სულ ბოლო პერიოდში ახალი პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას და მისი გუნდის მიერ დაწყებული საქმეები და სასიკეთო ძვრებიც გვაძლევს გარკვეული იმედების საფუძველს. ინფრასტრუქტურული განვითარება მხოლოდ ლოზუნგი აღარ არის და თანდათან ხორცს იხამს. სულ რამდენიმე დღის წინ გაიხსნა რუსეთის რეკონსტრუქციული და ახალგაზონიანი სტადიონი. უახლოეს თვეებში გარემონტდება მცხეთის, ქუთაისისა და ზესტაფონის სტადიონები, ხოლო ბათუმში ახალი, ხუთვარსკვლავიანი სტადიონი აშენდება.

ბაზრძალაბა A13 გვერდზე



რუსეთი თურქმენეთს გაზში პოლიტიკურ ფასს უხდის

გუშინ აშხაბადში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც 2010 წლის იანვრიდან აღდგება რუსეთისთვის თურქმენული გაზის მიწოდება, რაც მიმდინარე წლის აპრილიდან იყო შეწყვეტილი. ხელშეკრულებას „გაზპრომისა“ და „თურქმენგაზის“ წარმომადგენლებმა ორი ქვეყნის პრეზიდენტების დიპლომატიური მუდგეგმვისა და გურბანგული ბერდიმუხამედოვის თანდასწრებით მოაწერეს ხელი. შეთანხმება გულისხმობს პირველიდან ათ იანვრამდე გაზის მიწოდების აღდგენას წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრის ოდენობით.

თამთა ქახაძე
ივა ზილაძე

თურქმენეთი რუსეთში გაზის ექსპორტს 2003 წელს ხელმონე-

რილი ხელშეკრულების ფარგლებში ახდენს, რომლის ვადა 2028 წელს იწურება. თუმცა, წელს აპრილში მინოდება შეწყდა, რისი მიზეზიც თურქმენეთის გაზსადენ „საც-4“-ზე მომხდარი

ავარია გახდა. თურქმენეთმა ავარიაში რუსეთი დაადანაშაულა: აშხაბადი ირწმუნებოდა, რომ „გაზპრომმა“ ევროპიდან გაზის მოთხოვნის შემცირებისთანავე ძალიან შეამცირა თურქმენეთის გაზსადენებიდან ბუნებრივი აირის იმპორტი, რის შედეგადაც მილსადენი გასკდა.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, ექსპერტების აზრით, სწორედ იმისთვის ჩავიდა თურქმენეთში, რომ ბერდიმუხამედოვი გაზის მინოდებაზე დაეთანხმებინა. ქვეყნებს შორის მო-

ლაპარაკებები ბოლო თვეების განმავლობაში განუწყვეტელი მიმდინარეობს. ბოლო სამი კვირის მანძილზე პრეზიდენტები უკვე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

ყოველიურად 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილება რუსეთის მხრიდან თურქმენეთისთვის დათმობად განიხილება.

ბაზრძალაბა A7 გვერდზე

საახალწლო ფრენა რუსეთისკენ

საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლა შესაძლოა, უახლოეს მომავალში აღდგეს. საახალწლოდ ჩარტერული რეისების დანიშნვის წინადადებით კომპანია "აირზენამ" რუსულ მხარეს უკვე მიმართა. ქართული მხარე რუსეთთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენისთვის მზადყოფნას გამოთქვამს და აცხადებს, რომ თუ რუსეთის ხელისუფლების ბოლოდროინდელი განცხადებები მორიგი პიარ-კამპანია არ არის, მან რეგულარული რეისების დანიშნვის ნებართვა მალევე უნდა გასცეს.

პოლიტიკური კონსულტაციები საქართველო-ჩინეთს შორის

თბილისში გამართულ კონსულტაციებზე ქართული მხარის დელეგაციას საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი ლევან ასათიანი ხელმძღვანელობდა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" საგარეო უწყებიდან აცნობეს, კონსულტაციებზე ჩინეთის მხარემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კვლავ დაადასტურა. რაც შეეხება საუბრის თემებს, შეხვედრის დროს მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები, რეგიონალური და საერთაშორისო საკითხები, ასევე 2010 წლის სამუშაო გრაფიკი, კერძოდ საგარეო საქმეთა სამინისტროების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების დელეგაციების გაცვლითი ვიზიტების საკითხები განიხილეს.

დებატები "პირველი კავკასიურის" გარშემო

სახალხო დამცველის ოფისში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე ახალი რუსულენოვანი ტელემაუწყებლობის - "პირველი კავკასიურის" შესახებ დებატები გაიმართა. დებატების ორგანიზატორი "საზოგადოებრივი ექსპერტიზის დარბაზი" იყო. როგორც მისმა ერთ-ერთმა თანათავჯდომარემ ქეთი ბოხუაშვილი "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას განაცხადა, ბოლო დროს ფართო საზოგადოებაში სულ უფრო მწვავე შეფასებები და ვარაუდები ისმის ახალი რუსულენოვანი ტელემაუწყებლობის ირგვლივ, რომელიც იანვრიდან ამუშავდება.

"ამ თემის წამოწევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ტელეკომპანია იქმნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე. შესაბამისად, იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები და დაფინანსების სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოიყოფა. თუმცა, როგორც ჩვენ გავარკვიეთ, ჯერ საკანონმდებლო ცვლილებები არ შესულა საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონში, დანარჩენი შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კი საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა მოვიწვიეთ", - განაცხადა ბოხუაშვილი.

მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავჯდომარემ, ლევან გახვლაძემ განმარტა, რომ რუსულენოვანი ტელეკომპანია, რომელიც სატელევიზიო საშუალებით გაავრცელებს მაუწყებლობას, დაფინანსდება წელიწადში 3 მილიონი ლარით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან. გახვლაძის თქმით, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტი შემცირდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება, ხოლო მაუწყებელს დაემტავა ახალი არხი, შესაძლოა, საზოგადოებრივ მაუწყებელში მოხდეს ცვლილებები.

"ამ არხის დაფუძნების იდეა დიდი ხანია, არსებობდა, თუმცა გასული წლის აგვისტოს ომმა გაამძაფრა ეს იდეა. ჩვენ ვთვლით, რომ კავკასია უნდა იყოს ინფორმირებული რუსეთისგან დამოუკიდებელი წყაროებით. არ გამოვრიცხავთ, რომ მომავალში გაჩნდეს რადიოც. ჩვენ ვიცით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ამ არხის მიმართ არსებობს ინტერესი და გვეყოლება იქ ადგილობრივი კორესპონდენტები. მათ ვინაობას არ გავამხელოთ, ვინაიდან მათი ლიკენი-დაციის საფრთხე არსებობს", - აღნიშნა გახვლაძემ. მისივე ინფორმაციით, არხზე გავა სხვა კომპანიების მიერ მომზადებული პროგრამები, ასევე ფილმები და სერიალები.

გუშინ შეხვედრას მედლის, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებოდნენ.

"საიამ" ტელეკომპანიის უჩივლა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 21 დეკემბერს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ თვითრეგულირების კომისიაში საჩივარი შეიტანა. საია მიიჩნევს, რომ 12 დეკემბრის გადაცემა "პოსტკრიპტუმში" გასული სიუჟეტი ოსური მხარის მიერ უკანონოდ თავისუფლება-ალკვეთილი საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლებისა და აღნიშნულ საკითხში მათი ორგანიზაციის ნეგატიური როლის შესახებ, არღვევს "მაუწყებლობის შესახებ" კანონითა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" დადგენილი ჯეროვანი სიზუსტისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს და არის მაყურებლის შეცდომაში შემყვანი; არის სიძულვილისა და არატოლერანტობის გავლენების მცდელობა.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, "მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-14 მუხლისა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" თანახმად, მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან თვითრეგულირების ფარგლებში შექმნან საჩივრის განმხილველი ორგანოები.

საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი სწორედ თვითრეგულირების ფარგლებში უნდა იქნეს განხილული და ტელეკომპანიამ თანაზომადი საშუალებით უნდა შეასწოროს და უარყოს მიკერძოებულად მომზადებულ გადაცემაში მაყურებელთა შეცდომაში შემყვანი ფაქტები.

ტელეკომპანია საკუთარი დებულების თანახმად ვალდებულია საჩივარი განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს 21 დღის ვადაში.

წმინდა სინოდის კრება

ნარე, წმიდა სინოდის სხდომებზე უნდა ხდებოდეს. სამწუხაროა, რომ მიმდინარე პროცესებში მასმედიის ის საშუალებებიც იღებენ მონაწილეობას, რომელნიც ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებიან. წმიდა სინოდი აღნიშნავს, რომ ანტიეკლესიურ კამპანიას ზიანი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსთვის მოაქვს, რადგან ეს არის საზოგადოებაში განხეთქილების შეტანის მცდელობა. პროცესები თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ, რათა დავიცვათ ჩვენი ეკლესიისა და ერის ღირსება."

წმინდა სინოდის კრების ეს ნაწილი საზოგადოების განსაკუთრებით დიდ დაინტერესებას იწვევდა. ამასთან ერთად, დიდი ინტერესი გამოიწვია საპატრიარქოში ბასილ მკალავიშვილის გამოჩენამ. ამასთან დაკავშირებით წმინდა სინოდის განცხადებაში აღნიშნულია: "...აღვნიშნავთ იმასაც, რომ არიან ძალები, რომელთაც არ სურთ ეკლესიის მთლიანობა და სისავსე, არ სურთ ერთვნილი და ზნეობრივი ფასეულობების დაცვა. ისინი ფსევდოლიბერალიზმის, ფსევდოკულტურისა და რელიგიური ინდიფერენტის მიხედვით განსაკუთრებით მოგვიწოდებენ და ამ მიზნის მისაღწევად ყველა სახის სიტყუესა და შეურაცხყოფას მიმართავენ, რათა ხალხს ეკლესიისადმი სიყვარული და ნდობა დააკარგვიონ. ამით კი სურთ, ეს მთავარი საყრდენი გამოაცალონ. ჩვენი ქვეყნის ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს აღორძინებასა და წინსვლას წინ ყოველთვის ეკლესიის განმტკიცება უძღვრება. ეს პროცესი ეკლესიაში დაწყებულია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, სასულიერო პირების გამრავლებამ, სიკეთესთან ერთად, გარკვეული სირთულეებიც შექმნა, რაზეც მსჯელობა, სჯულისკანონიდან გამომდინარე, წმიდა სინოდმა მოისმინა ბასილ მკალავიშვილისა და მღვდელ ვახტანგ მარგვიანის წერილობითი თხოვნა დედაეკლესიაში დაბრუნების შესახებ და განაჩინა: ბასილ მკალავიშვილი და მღვდელი ვახტანგ მარგვიანი გაიგზავნონ ბაღდათისა და ვანის ეპარქიაში სინასულიისათვის..."

შეგახსენებთ, რომ 21 დეკემბერს საზოგადოების ერთმა ნაწილმა მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა. ტექსტის ავტორების ინფორმაციით, სინოდის კრებაზე დეკანოზების - კახა კურტანიძის და ზაზა თევზაძის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები იგეგმებოდა. საზოგადოების ერთი ნაწილი სინოდის წევრებს სთხოვდნენ, რეაგირება მოეხდინათ მართლმადიდებლობის სახელით მოქმედი ექსტრემისტების საქციელზე. ასევე, დაეგმოთ პოლიტიკოსების ეკლესიით მანიპულირების ქმედებები.

მოლოდინის მიუხედავად, წმინდა სინოდი გუშინდელ სხდომაზე აღნიშნულ საკითხს არ შეხებია.

როგორც ფსიქოლოგმა დავით ამირჯიბიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ორი აღნიშნული მღვდელმსახური, რომლებმაც პატრიარქისადმი და ხელისუფლებადმი გაგზავნილ შეკითხვებს მოაწერეს ხელი, "არა მარტო იზიარებენ შეკითხვათა აქტუალურობას, არ იშურებენ ძალისხმევას, რომ ეს ეჭვი არ გადაიზარდოს ეჭვში საზოგადოდ რელიგიური ორგანიზაციებისა და უპირველეს ყოვლისა - ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, რაც დამლუპველი იქნებოდა ზოგადად ქართული კულტურისა და სახელმწიფოსთვის. მათი როლი დღეს ფასდაუდებელია და ჩვენ მხოლოდ მადლიერნი შეიძლება ვიყოთ წმიდა სინოდის მიმართ, რომელმაც არ გაავრცელა ნეგატიური დამოკიდებულება სასულიერო პირებთან მიმართებით".

პატრიარქის ყოფილმა პრესმდივანმა, ბასილ კობახიძემ "24 საათს" განუცხადა, რომ ბასილ მკალავიშვილისთვის მღვდელმოქმედების უფ-

ლების აღდგენა, საეკლესიო სამართლის მიხედვით, დაუშვებელია.

"ბასილ მკალავიშვილი არ არის მღვდელი. ის განკვეთილია მღვდლობიდან 1994 წელს. განკვეთის ტექსტის ავტორი მე თვითონ ვარ. საეკლესიო სამართლის მიხედვით, განკვეთილი ადამიანი არის ერისკაცი და მისი აღდგენა ან მეორედ კურთხევა დაუშვებელია. ასე რომ, მკალავიშვილი სინოდმა შეიძლება მხოლოდ ერისკაცად მიიღოს," - აღნიშნა კობახიძემ.

ის ქრისტიფორე წამალაძისთვის მღვდელმსახურების აღდგენის საკითხს განსხვავებულად აფასებს. კობახიძის თქმით, წამალაძი არის კანონიერი ეპისკოპოსი, რომელსაც სინოდმა 1995 წელს სასჯელი უკანონოდ დაადო.

"მას სინოდმა აუკრძალა მღვდელმოქმედება ანუ წირვის, ნათლობის და სხვა რიტუალების შესრულება. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიფორე წამალაძე არის ეპისკოპოსი და შეიძლება ალუღვინოს სინოდმა მღვდელმოქმედების უფლება. ეს მისი ვალდებულებაა, რადგან სინოდის მიერვე დაინიშნულმა კომისიამ, რომელსაც ეპისკოპოს ქრისტიფორეს საქმის შესწავლა ევალებოდა, მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა" - განუცხადა კობახიძემ "24 საათს".

აქვე აღვნიშნავთ, რომ გვიან საღამოს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა გადასცა ბასილ მკალავიშვილის განცხადება, სადაც ის ამბობდა, რომ წერილობით არ მიუმართავს სინოდისთვის და არც რაიმეს მონანიებას აპირებს.

საკუთარი ინფორმაცია

დონორთა თანხების ხარჯვა ანტიკრიზისული საბჭოს მონიტორინგით

დონორის გაცემაზე უარს ეუბნებიან. ასეთი ადამიანების რაოდენობა 1600-ს აღწევს, თუმცა, შესაძლოა, ბევრად მეტი იყოს," - განაცხადა

ჯონდი ბალათურამ. დეპუტატმა პრეტენზია გამოთქვა დევნილთა კოტეჯების მშენებლობის ხარისხთან და ჩატარებულ ტენდერებთან დაკავშირებით. მისი თქმით, გამოყოფილი სახსრები ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იხარჯება, მაგრამ თავად ტენდერები კანონდარღვევით მიმდინარეობს. ბალათურის ბრიფინგზე დარღვევების კონკრეტული ფაქტები და განცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. იგი ანტიკრიზისული ჯგუფისგან მოითხოვდა შესაბამისი ინფორმაციის ამოღებას.

ანტიკრიზისული საბჭოს სხდომას, დეპუტატებთან ერთად, შეერთებული შტატების, საფრანგეთის და გერმანიის საელჩოს, ასევე მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები და

რეგიონული განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის გია თორთლაძის ინფორმაციით, დონორთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა მიერ საქართველოსთვის ფინანსური დახმარების სახით გათვალისწინებულია 4 მილიარდ 642 მილიონ 60 ათასი აშშ დოლარის გამოყოფა.

"სახეზეა საქართველოსთვის უპრეცედენტო ფინანსური მხარდაჭერის ფაქტი, რომელიც არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს. ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანას ავალდებულებს, გონივრულად, დროულად და ეფექტურად გამოიყენოს თითქმის მთელი მსოფლიოსგან მიღებული ფინანსური დახმარება", - განაცხადა და შეხვედრაზე ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარემ. მისი თქმით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ანტიკრიზისული საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს ექსპერტების მიერ

ქვეყნის მხარეების მიხედვით ჩატარებული ფინანსური მონიტორინგი.

საგულისხმოა, რომ საბჭოში წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგები, ბალათურისას მიერ ბრიფინგზე წარმოდგენილ ინფორმაციასთან შედარებით, უფრო ოპტიმისტური იყო. გია თორთლაძის განცხადებით, ნოემბრის მდგომარეობით, მიმდინარე წლისთვის დაგეგმილი სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულების სტადიაშია და დონორთა მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების ათვისების საერთო მდგომარეობა დადებითად შეიძლება შეფასდეს.

ამასთან, თორთლაძის რეკომენდაციით, დონორების მიერ გამოყოფილი თანხებით სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობების მოსაზრებები, რასაც მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი დაეთანხმა.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "გვ3". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაატა მუხაშვილი.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მია ჭალავანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფი კლასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის დეპარტამენტი: თამარ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თინათინა ქორია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკლის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ოპოზიციის ერთიანობის ძიებაში

პირველი გვერდიდან

დღის მეორე ნახევარში ოპოზიციურ ძალთა შორის მიმდინარე მოლაპარაკებაზე ახალი კითხვის ნიშნები გაჩნდა. მაშინ, როცა ალასანიას გუნდი კონსულტაციების მიმდინარეობის შესახებ საუბრობდა, ნიშნის მოგების ტოლფასი იყო "კონსერვატიული პარტიის" მიერ გავრცელებული სპეციალური განცხადება, სადაც ისინი კონსულტაციებს უარყოფენ და იუნყებიან, რომ კანდიდატის გამოვლენის ერთადერთი გზა პრაიმერია, რომელსაც აუცილებლად ჩაატარებენ.

საკითხის გასარკვევად "24 საა-

თი" "კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთ ლიდერს კახა კუკავას დაუკავშირდა. კუკავას თქმით, ისინი მზად არიან, პრაიმერის დეტალებზე გარკვეული შენიშვნები და წინადადებები გაითვალისწინონ, მაგრამ კოლეგებისგან ულტიმატუმის ენაზე საუბარს ვერ მიიღებენ. "ერთიანი კანდიდატი უნდა იყოს ყველაზე რეიტინგული. ვინაიდან ამაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, საკითხი შიდა არჩევნების გზით უნდა გადაწყდეს. რაც შეეხება კონსულტაციებს, ულტიმატუმებზე კონსულტაციები ვერ გაიმართება. ჩვენი კოლეგებისგან კი ამგვარი რამ მოვისმინეთ:

ყველა პარტიამ უნდა მოხსნას თავისი კანდიდატურა და აღიანსს შეუერთდეს. ამ პირობებში დიალოგის გამართვა წარმოუდგენელია," - განაცხადა კუკავამ.

კუკავა ამბობს, რომ "კონსერვატიული პარტია" თანამშრომლობისთვის არის მონდობილი, მაგრამ "თანამშრომლობა ორმხრივი პროცესია და თუ მეორე მხრიდან შემხვედრი ნაბიჯი არ გადაიდგმება, პროცესის დაძვრა გაჭირდება".

კოლეგებს შორის დაპირისპირების საგნად იქცა ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ოპოზიციურ

ძალებს შორის ერთგვარი გარიგებები ხდებოდა. კერძოდ, მერობის ერთ კანდიდატზე - ირაკლი ალასანიასზე შეთანხმება მოხდებოდა დანარჩენი პოლიტიკური პარტიებისთვის საკრებულოში თანამდებობების შეთავაზების ხარჯზე.

ამ ინფორმაციას "კონსერვატორების" უმწვავესი რეაქცია მოჰყვა (სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო გაავრცელეს "კონსერვატორებმა" ზემოთ ნახსენები განცხადება). "24 საათთან" საუბარში კუკავამ განაცხადა: "ეს ინფორმაცია შემთხვევით არ გავრცელებულა, იგი მედიასაშუალებას ჩვენმა "კეთილის მსურველებმა" მიანოდეს. ეს

მიზნად ისახავს ვაჭრობის დაწყებას პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. ჩვენ ვაჭრობაში მონაწილეობას არ მივიღებთ, განსხვავებით ზოგიერთი ჩვენი კოლეგისგან, რომელსაც ამ საქმეში დიდი სტაჟი აქვს."

"კონსერვატორები" უკვე პრაიმერისთვის ემზადებიან. მათი ინფორმაციით, ხუთშაბათს ინიციატორი პარტიების ერთობლივი პრეზენტაცია გაიმართება და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა გამოქვეყნდება.

პარლამენტის ბიურო რიგგარეშე სხდომას ნიშნავს

თამარ ივანიძე

პარლამენტი სამშობლოდგომო სესიას რიგგარეშე სხდომით ასრულებს. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, რიგგარეშე სხდომა პარასკევს გაიმართება. უკვე ცნობილია დღის წესრიგი, რომლის ამოწურვის შემდეგ დეპუტატები საახალწლო ზეიმს შეუერთდებიან.

რიგგარეშე სხდომაზე პირველ რიგში მესამე მოსმენით დასამტკიცებელ საკითხთა მთელ ნუსხას უყრიან კენჭს. ამ საკითხებს შორისაა საარჩევნო კოდექსი, გადაწყვეტილება, რომლითაც მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის დაწესება, პროკურორისთვის მასალების განსაზღვრების უფლების მინიჭება და ა.შ.

ამასთან, 25 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე პირველი მოსმენით

განიხილავენ და მიიღებენ პრეზიდენტის საკონსტიტუციო ინიციატივას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებრივი გადასახადების შემოღება ან მათი გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით მოხდება. საინტერესოა, რომ გუშინ დეპუტატთა ნაწილი საოფერენდუმო გადასახადებიდან ქონების გადასახადის ამოღებასაც მოითხოვდა, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული გადაწყვეტილება გათვალისწინებული არ ყოფილა. სამაგიეროდ, ცვლილებებს თან ექნება დართული "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის" დასკვნა და რეკომენდაციები. ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა გუშინდელ ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

ტრადიციულად, ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგზე საუბარზე მეტი დრო პოლიტიკურმა განცხადებებმა დაიკავეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ბიუროს სხდომაზე ქუთაისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენას გამოეხმაურა და "დიდების მემორიალის" დემონტაჟისას დაღუპულთა ოჯახს, პარლამენტის სახელით, სამძიმარი გამოუცხადა.

"ეს იყო ძლიერი მიმე და ტრაგიკული ინციდენტი, რომლის გამოძიებაც აუცილებლად უნდა მოხდეს და ყველა დამნაშავე უნდა დაისჯოს," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. დავით ბაქრაძემ ასევე აღნიშნა, რომ გამოძიება არის საკითხის ერთი მხარე, მეორე მხრივ კი არის სამწუხარო რეალობა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია.

ვიცე-სპიკერის პაატა დავითაიას განცხადებით, პარლამენტს უფლება არ აქვს გამოძიების პროცესში ჩაერიოს, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ საგამოძიებო პროცესი კონტროლზე უნდა აიყვანოს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, გამოძიება პრეზიდენტის პირად კონტროლზეა აყვანილი და ის დარწმუნებულია, რომ საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი.

ამის შემდეგ პაატა დავითაიამ კოლეგების წინაშე აფხაზეთში მცხოვრები პენსიონერების სოციალური დაცვის აუცილებლობის საკითხი დასვა. მისი განცხადებით, გუშინდელი დღიდან აფხაზეთში მცხოვრებ იმ პენსიონერებს, რომლებიც შესაბამის უწყებებში რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარადგენენ, პენსიების მიცემა შეუწყდება.

პაატა დავითაიას თქმით, საუბარია შვიდი ათას პენსიონერზე. ვიცე-სპიკერი მართებულად მიიჩნევს, საქართველოს მთავრობამ, "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონიდან გამომდინარე, გაუწიოს დახმარება იმ პენსიონერებს, რომლებსაც სეპარატისტები პენსიას შეუწყვეტენ. "გარკვეული ქმედებები უნდა განხორციელდეს, რომ ის ადამიანები არ დარჩნენ პენსიის გარეშე. ეს იქნება კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ჩვენ ვზრუნავთ იმ მოქალაქეებზე, ვინც იქ არიან", - განაცხადა პაატა დავითაიამ.

პაატა დავითაიას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გა-

მოეხმაურა და აღნიშნა, რომ წინადადება მისასალმებელია. დავით ბაქრაძეს მიაჩნია, რომ ეს შეიძლება გახდეს იმ სტრატეგიის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თანამოქალაქეებთან ურთიერთობას. "ერთ-ერთი საკითხი, რითაც შეიძლება ჩვენ გამოვავლინოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ, გახლავთ ის, რომ ისინი გახდნენ ჩვენი სოციალური და ჯანდაცვის სისტემის ნაწილი," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბევრი ადამიანი, საჭიროების შემთხვევაში, დღემდე იღებს სამედიცინო დახმარებას და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

ბიუროს სხდომის ბოლოს დეპუტატებმა რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი დამტკიცეს და საორგანიზაციო საკითხები განიხილეს. პარასკევის რიგგარეშე სხდომით პარლამენტის სამშობლოდგომო სესია დაიხურება.

ჭარ ბატასკეხული, შემდეგ დეზარტირი

რუსი ჭარისკაცი საქართველოს თავშესაფარს სთხოვს

ნათია მსხილაძე

რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილი 21 დეკემბერს რუსმა ჯარისკაცმა ვიტალი ხრიპუნმა თვითნებურად დატოვა და საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა.



სწორედ ამ ღამეს დაიკარგა. ქართული მხარე მზად იყო, დაკავებული გადმოეცა, თუმცა მოგვიანებით განაცხადა, რომ გადაცემა განუსაზღვრელი დროით გადაიდო," - შენიშნეს რუსმა მესაზღვრეებმა ცხინვალის სამმართველოში.

ასეთივე ინფორმაციას ავრცელებს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურიც - თითქოს ვიტალი ხრიპუნი ცხინვალში დისლო-

ცირებული რუსული სამხედრო ნაწილიდან კი არ გაქცეულა, არამედ ის ქართულ მხარეს ჰყავდა დაკავებული.

ქართული მხარე კი "ფე-ეს-ბე"-ს ბრალდებას სერიოზულად არ აღიქვამს. "ფე-ეს-ბე"-ს განცხადებებს ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ რუსეთის საჯარისო ნაწილებიდან სამხედროები გამოვლინდნენ,

უჩვენებს, თუ როგორი "წარმატებით" მიმდინარეობს რეფორმა რუსულ ჯარში," - ასე პასუხობს რუსულ წყაროებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი.

დღის მეორე ნახევარში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებულმა საგამოძიებო კომიტეტმა ვიტალი ხრიპუნის წინააღმდეგ დეზერტირობისა და ცეცხლსასროლი იარაღის გატაცების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. "წინასწარი მონაცემებით, 21 დეკემბერს საზღვრის დაცვის პუნქტზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის დროს ხრიპუნმა თვითნებურად მიატოვა დანიშნულები ადგილი, თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები," - ნათქვამია რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის განცხადებაში.

რუსმა ჯარისკაცმა საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარის მოთხოვნით უკვე მიმართა. ეს საკითხი ქართულმა მხარემ ოთხ თვეში უნდა განიხილოს. ამ დროისთვის ხრიპუნს ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი აქვს მიანიჭებული. "4 თვე გვაქვს იმისთვის, რომ გავარკვიოთ, მივცემთ თუ არა რუს ჯარისკაცს თავშესა-

ფარს. ამ ეტაპზე მას ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი აქვს მიანიჭებული. პროცედურულად მასთან შეიძლება ინტერვიუს ჩაწერა საჭირო, რომლებსაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი უნდა დაესწროს და სწორედ ამ ინტერვიუების გაანალიზების შემდეგ უნდა მოხდეს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება," - აღნიშნა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა.

გუშინ, ვიტალი ხრიპუნის საკითხზე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და რუსი მესაზღვრეების წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. "აღნიშნული შეხვედრა მხოლოდ ორმხრივი იყო და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში არ გამართულა. შედგა საუბარი, თუ რა როლის შესრულება შეუძლია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას. თუმცა, ლტოლვილის სტატუსის საკითხზე, როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლება და გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის წარმომადგენლობა წყვეტენ," - განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ.

ბიზნესსაოციაცია საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შემუშავებაში ჩართვას ითხოვს

ბიზნესსაოციაცია საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შემუშავებაში ჩართვას ითხოვს.

ამის შესახებ პარლამენტში საკონსტიტუციო საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე კომპანია "ვი-სოლის" დირექტორმა სოსო ფხაკაძემ განაცხადა, რომელმაც განცხადება ბიზნესსაოციაციის სახელით გააკეთა. მისი თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ მზადდება საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ბიზნესსაოციაციაში შექმნილია სპეციალური კომიტეტი, რომელიც სერიოზული კადრებით და წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

სოსო ფხაკაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნება თუ ამ საგადასახადო ცვლილებების მომზადებაში ეს კომიტეტიც ჩაერთვება. **ინტერპრესნიუსი**

ბიზნესსაოციაცია აქციონის განაკვეთების გარკვეულ რეგულირებას ითხოვს

ბიზნესსაოციაცია აქციონის განაკვეთების გარკვეულ რეგულირებას ითხოვს.

ამის შესახებ ბიზნესსაოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ დღეს პარლამენტში, საკონსტიტუციო ცვლილების საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე მას შემდეგ განაცხადა, რაც გაირკვა, რომ აქციონის განაკვეთების გაზრდის საკითხი რეფერენდუმზე არ დადგება.

მისი თქმით, აქციონის განაკვეთების გაზრდა პირდაპირ იქნება დამოკიდებული ფასების ზრდაზე, ამიტომ ეს საკითხი გარკვეულწილად დარეგულირებული უნდა იყოს.

კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ სოსო ფხაკაძემ "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას განმარტა, რომ კანონმდებლობაში გარკვეული რეგულაცია უნდა იყოს, რადგან ხელისუფლებას ნებისმიერ დროს ბიუჯეტში დეფიციტის შესავსებად აქციონის განაკვეთების შეუზღუდავად გაზრდის შესაძლებლობა არ ჰქონდეს.

აღნიშნული საკითხი, სავარაუდოდ, სპეციალური ორგანოები კანონით დარეგულირდება, რომელიც პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების მიღების შემდეგ შევა. **ინტერპრესნიუსი**

ბიზნესმენები საკუთრების უფლების მეტ გარანტიებს ითხოვენ

ბიზნესმენები საკუთრების უფლების მეტ გარანტიებს ითხოვენ.

ამის შესახებ ბიზნესსაოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ დღეს პარლამენტში, საკონსტიტუციო ცვლილების საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ საკონსტიტუციო ცვლილებაში ამ საკითხზეც იქნება საუბარი.

მისი თქმით, კერძო საკუთრების უფლებას ბიზნესის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ამ საკითხზე უფრო მეტი გარანტიები უნდა არსებობდეს.

საკონსტიტუციო ცვლილებით დგინდება, რომ გადასახადების გაზრდის საკითხი რეფერენდუმის გზით იქნება გადაწყვეტილი. ამავე პროექტში ნათქვამია, რომ ხანგრძლივადიანი, სტაბილური, ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვარს და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს საქართველოს ორგანული კანონი ადგენს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ორგანულ კანონში დამატებით ჩაიდება საკუთრების უფლების დაცვის ბერკეტები. **ინტერპრესნიუსი**

საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჭამურმა ბრუნვამ ერთი თვის განმავლობაში 773 044 ლარი შეადგინა

საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე 773 044 ლარი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში ბირჟაზე 205 გარიგება დაიდო და გასხვისდა 3 744 296 აქცია.

აქციების ყიდვის და გასხვისების აბსოლუტური უმრავლესობა "სახალხო ბანკის" აქციაზე მოდის. ბანკის ფასიან ქალაქებზე ფასმა იკლო და ბოლო ვაჭრობაზე 0.059 ლარი შეადგინა. "სახალხო ბანკმა" ბირჟაზე ემიტირებული აქციების რაოდენობა 1,5-ჯერ გაზარდა და ამჟამად ემიტირებულ აქციათა რიცხვი 3 მლრდ ცალს შეადგენს.

საფონდო ბირჟაზე ფულადი ბრუნვით ლიდერობდა "საქართველოს ბანკი". ბანკის ფასიანი ქალაქების საშუალო ღირებულება 13.584 ლარს შეადგენს.

ინტერპრესნიუსი

ახალი წლიდან საბაჟო გადასახადები იზრდება

მანან ვარციანი

2010 წლის 1 იანვრიდან იმპორტირებული პროდუქტის ნაწილი 12-პროცენტით საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება. პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები უკვე დამტკიცა. მთავრობა ირწმუნება, რომ საბაჟო გადასახადების კორექტირებით ადგილობრივი წარმოების სტიმულირება მოხდება. თუმცა 12-პროცენტის დაბეგრის რეჟიმში მოხვდა ისეთი პროდუქცია, რომელიც საქართველოში არ იწარმოება, მაგალითად, შიგინური, სამშენებლო და სარემონტო საშუალებები. დაბეგრის ეს რეჟიმი მხოლოდ იმ ქვეყნებიდან შემოსულ საქონელს შეეხება, რომლებთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აკავშირებს. ევროკავშირთან კი საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არაა. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ პროდუქტს პროდუქტის საბაჟო გადასახადების გაზრდას იწვევს. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას სხვა მიზეზიც აქვს: მსგავს და ერთგვაროვან პროდუქტზე ერთი და იგივე განაკვეთის შემოტანით მთავრობა საბაჟო პროცედურებს ამარტივებს.

5-პროცენტის საბაჟო განაკვეთი აღარ უქმდება. ამ განაკვეთით მომავალი წლიდან ყველის, ხაჭაპურის და ლორის ხორცის გაციხვული ან გაყინული პროდუქტის იმპორტი დაიბეგრება. 12-პროცენტის საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება ის პროდუქტები, რომლებიც საქართველოში იწარმოება.

როგორც მთავრობაში განმარტეს, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიზანი ის არის, რომ ადგილობრივი წარმოება უცხოურთან შედარებით ნამგებთან რეჟიმში არ აღმოჩნდეს. 12%-იანი საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება კარტოფილი, ზეთი, შინაური ფრინველის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ფრინველის კვერცხი, ნატურალური თავლი, ბოსტნეული, რძე, ხილი და ა.შ.

12%-იან დაბეგრის რეჟიმში



მოექცევა ქაქოს და შოკოლადის გარკვეული პროდუქტის იმპორტიც. ასევე 12%-ით დაიბეგრება პლასტმასები და მისი ზოგიერთი ნაწარმი. კერძოდ, დაიბეგრება პლასტმასის მონოდაფის, წნელების, თერძებისა და ფასონური პროდუქტების, პლასტმასის მილერების ხელოვნური გარსაცმების იმპორტი, რომელიც ძველულის ნაწარმისთვის არის განკუთვნილი. გარდა ამისა, დაიბეგრება იატაკის, ჭურჭლისა და კედლების პლასტმასის ისეთი ფარების იმპორტიც, რომელიც ვინილქლორიდის პოლიმერებისგან შედგება. 12-პროცენტის საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება პლასტმასის ფილების, ფურცლების, ფირების, ლენტების ზოგიერთი ნაწარმიც, აბაზანების, შხაპების, ნყლის ჩასადინარი ნიჟარებისა და პირსაბანი ნიჟარების, ასევე უნიტაზის დასაჯდომებისა და სახურავების იმპორტიც.

დასაბეგრი პლასტმასის საქონლის ჩამონათვალი შედის საქონლის ტრანსპორტირებისა და შეფუთვისთვის საჭირო პლასტმასის ნაწარმი - პლასტმასის ყუთები და კალათები, პლასტმასის კოჭები, ბაზინები და ანალოგიური ნაწარმი ფოტო-კინოფირებისა და ლენტებისთვის. ასევე პლასტმასის სასაიდლო და სამზარეულო ჭურჭელი.

დაბეგრის 12%-იან რეჟიმში მოექცა მამულებისა და სხვა რიგი შიგინური საშუალებების იმპორტი.

ამავე რეჟიმში მოექცა ტუალეტის საპნის იმპორტი, სამკურნალო საშუალების შემცველი საპონი, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებისა და კანის დასაბანი საშუალებები როგორც სითხის, ისე კრემის სახით; სარეცხი და საწმენდი საშუალებები, საწმენდი პასტები და სარეცხი ფხვნილები.

12-პროცენტის საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება საწებლის იმპორტიც. ჩაის ან მატეს ექსტრაქტების, ესენციებისა და კონცენტრატების, ჩაის ან მატეს ფუძეზე დამზადებული მზა პროდუქტების იმპორტის გარდა 12-პროცენტის საბაჟო გადასახადი წესდება მოხალული ვარდკაჭაჭას შემცველებზე ან მათ ექსტრაქტებზე, ესენციებზე და კონცენტრატებზე, საწებლების მოსამზადებელ პროდუქტებზე და მზა საწებლებზე; ასევე, საგემოვნო დანამატებსა და შერეულ საკმაზეზე, მდოგვის ფხვნილსა და მზა მდოგვზე. ამ პროდუქტებზე საბაჟო განაკვეთი აქამდე არ არსებობდა.

ტროპიკული ხილისა და ზოგიერთი ბოსტნეულის იმპორტზე საბაჟო გადასახადი წესდება. 12-პროცენტის საბაჟო განაკვეთით აღარ დაიბეგრება სალათის, ქოქოსის კაკლის, ფინიკის, ლეღვის, ანანის, ციტრუსების ნაყოფების კანის ან ნესტების ქერქის იმპორტი.

ასევე საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება რამდენიმე სამშე-

ნებლო და ტექნიკური მასალის იმპორტი. კერძოდ, კვარცის, კვარციტის უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი ან სხვა საშუალებით დაყოფილი მართკუთხა ფორმის ბლოკების ან ფილების იმპორტი.

ასევე, საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება კაოლინის და თიხების კაოლინური ნარჩენის, ანდალუზიტის, კიანიტის, სილიმანტის თიხები, მულიტი, შამოტის ან დინასის მინები, ცარცი, ბარიუმის სულფატი, ბარიუმის კარბონატი, ჩაუმქრალი კირი, ჩამქრალი და შიდრაგლიკური კირი, აზბესტი, ქარსი, ქარსის ნარჩენები. საგადასახადო შეღავათი შეეხო, ასევე, სტეატიტის იმპორტსაც.

"ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი მიიჩნევს, რომ იმპორტის გარკვეულ ნაწილზე საბაჟო გადასახადის ზრდას ადგილობრივი წარმოების სტიმულირებასთან საერთო არაფერი აქვს. გია ჯანდიერი: "იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაზრდა ადგილობრივი წარმოებისთვის დათვრილი საშუალებაა, რადგან მათ კონკურენტის სტიმულს ვუკარგავთ. საბაჟო ტარიფი სულ რომ არ არსებობდეს, უცხოეთიდან საქონლის ჩამოტანა ისედაც ძალიან ბევრ რისკს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი წარმოება იმპორტთან შედარებით ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაშია. საბაჟო განაკვეთების გაზრდის რეალური მიზანი ის არის, რომ ბევრი ადგილობრივი პროდუქტი იმპორტირებულ ანალოგთან შედარებით უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ასეთი ნაბიჯი ადგილობრივი პროდუქტის გათავისუფლებას არ იწვევს - როგორც წესი, ბოლოს ადგილობრივი მწარმე საკუთარი ნაწარმის ფასს იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებამდე წყვეს. იაფი და ხარისხიანი პროდუქტის მიღების ერთადერთი გზა ჯანსაღი კონკურენციაა. მწარმე მაშინ ეძებს წარმოების და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების გზებს, როცა კონკურენტი ჰყავს. ჩვენს მწარმოებლებს რაც ყველაზე ძალიან უჭირთ, მენეჯმენტის ცოდნაა. იმის მაგივრად რომ მენეჯმენტი ისწავლონ, სახელმწიფოსგან პრივილეგიებს ითხოვენ. სამწუხაროდ, მათ ამ მოთხოვნას მთავრობაც ეთანხმება".

2009 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის მარკენაზე, სავარაუდოდ, მინუს 4 პროცენტზე დაფიქსირდება

კვარტლის შედეგების დათვლა და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი სტატისტიკის დეპარტამენტის გათვლებით, დაახლოებით, -1.3 პროცენტს შეადგენს.

პრემიერის განცხადებით, თუ გავითვალისწინებთ, რამდენიმე თვის განმავლობაში იყო წლის დასაწყისიდან, ეს არ არის მაინც-დამაინც ცუდი მაჩვენებელი.

მისივე თქმით, პირველ კვარტალში დაფიქსირდა -5.9 პროცენტი, მეორე კვარტალში -10 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში -1.3 პროცენტი.

ჯამურად კი ეკონომიკური ზრდის სამი კვარტლის მაჩვენებელი -5.5 პროცენტზე ფიქსირდება.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მეოთხე კვარტალში უკვე ეკონომიკური ზრდის დადებითი მაჩვენებლებია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, ეს ციფრი +2 +3 პროცენტს შეადგენს.

"ამის თქმის საფუძველს იძლევა ყველა ის მაჩვენებელი, რომელიც საქართველოში ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში ფიქსირდება," - განმარტა პრე-

მიერ-მინისტრმა.

ნიკა გილაურის განცხადებით, თუ დამატებითი ღირებულების გადასახადის ბრუნვების მიხედვით გასული თვეები მინუსებში ფიქსირდებოდა, დღეს-ს ბრუნვის მიხედვით ეკონომიკური აქტივობის ზრდა ოქტომბერში 2.2 პროცენტი იყო.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მომავალი წელი, სავარაუდოდ, საკმაოდ დადებითი და პოზიტიური იქნება აქტივობის თვალსაზრისით. **ინტერპრესნიუსი**

OpenRevolution Georgia ახალ მომსახურებას ნერგავს

სააქციო საზოგადოება OpenRevolution Georgia-მ საჯაროდ განაცხადა "ჯეოსელთან" და Georgia Card-თან დადებული ხელშეკრულების თაობაზე კომპანიის საერთაშორისო მობილური ფინანსური მომსახურების საქმიანობის მხარდასაჭერად. რამდენიმე ხნის წინ OpenRevolution-მა საქართველოში საკუთარი საქმიანობა წამოიწყო ქვეყანაში პირველი მობილური ფინანსური მომსახურების ქსელის რეალიზაციის მიზნით, რომელიც მობილურ ტელეფონზე დაფუძნებული ფულადი გადარიცხვების მომსახურების წარმოებასა და სავაჭრო ობიექტების ქსელში მათ ფართო დაწვრილ ითვალისწინებს. OpenRevolution-ის ქსელი აგრეთვე შესაძლებლობას მისცემს სადეპოზიტო ფინანსურ ინსტიტუტებს, საქართველოში წამოიწიონ ე.წ. უფილიალო საბანკო მომსახურება. OpenRevolution-ი გეგმავს ამ მომსახურების გაფართოებას რეგიონის სხვა ქვეყნებში.

Georgia Card-თან და "ჯეოსელთან" დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ქართული ფინანსური ინსტიტუტები, რომლებსაც ექნებათ OpenRevolution-ის ქსელთან წვდომის სალიცენზიო ნებართვა, შეძლებენ საკუთარ მომხმარებელს მობილური ფინანსური მომსახურება გაუწიონ. მობილური ტელეფონის მეშვეობით წარმოებული ფინანსური ოპერაციები საქართველოში, სავარაუდოდ, 2010 წლის შუა პერიოდში დაიწყება და ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა შორის გადახდების, ფულად გზავნილებს, კომუნალური და მსგავსი ანგარიშებისა და სესხების გაანგარიშების განხორციელებას სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ფულის განაღდებასა და მობილური "საფულეების" შექმნას.

OpenRevolution-ის მობილური ფინანსური მომსახურების საპროცესინგო პლატფორმა (სავაჭრო ნიშანი MoBITM) განთავსდება თბილისში Georgia Card-ის საიმედოდ დაცულ ცენტრში. OpenRevolution-ი გამოიყენებს საკუთარ MoBITM



პლატფორმას, რათა მობილური ფინანსური მომსახურება გაუწიოს ალმოსავლეთ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს.

თითოეულ ქვეყანაში OpenRevolution-ი შექმნის მობილური გადახდების მიმღებ სავაჭრო და მომსახურების ობიექტების ფართო ქსელს. ამ ობიექტთა ნაწილი წარმოადგენს აგენტებს, რომლებიც შეავსებენ ან განაღდებენ მომხმარებელთა მობილურ "საფულეებს." სისტემაში ჩართულ ყველა მონაწილე ობიექტს მინიჭებული ექნება OpenRevolution-ის ქსელში დაშვების საერთაშორისო ნიშანი. აღნიშნული ფინანსური მომსახურების განვითარების მიზნით OpenRevolution-ი ითანამშრომლებს თითოეული ქვეყნის მობილური ქსელის წამყვან ოპერატორთან. საქართველოში OpenRevolution-ის მობილური ფინანსური მომსახურებისათვის კომპანია "ჯეოსელთან" უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის გამოყოფილ არხს. OpenRevolution-ის თანამშრომლობა "ჯეოსელთან", როგორც TeliaSonera საერთაშორისო ჯგუფის კომპანიასთან, შეიძლება მეტად გაფართოვდეს, რათა მოიცვას სხვა ბაზრები.

OpenRevolution-ის აღმასრულებელი დირექტორი ალენ გილსტრაპი აცხადებს, რომ მათთვის საქართველოს ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია. კომპა-

ნია იანვრიდან ადგილობრივი გუნდის გაფართოებას და ახალი კადრების მოზიდვასაც გეგმავს.

OpenRevolution-ის აღმასრულებელი დირექტორი ალენ გილსტრაპი: "საქართველოში სამი ძლიერი ფიქსური მობილური ქსელის კომპანიაა. სამივესთან გვქონდა კონსულტაციები, განვიხილეთ შესაძლო თანამშრომლობის შესაძლებლობები, მაგრამ საბოლოოდ "ჯეოსელთან" თანამშრომლობა გადავწყვიტეთ. ეს ის კომპანიაა, რომელიც მაქსიმალურად მიესადაგება იმ მიზნებს, რაც ჩვენ გავაჩინა საქართველოში და რეგიონში. "ჯეოსელს" გააჩნია საერთაშორისო შესაძლებლობები, TeliaSonera-ს ჯგუფის წევრია, რაც ჩვენი მიზნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. "ჯეოსელის" წამყვანი როლი ამ ბაზარზე გამორჩეულია თავისი ინოვაციური მომსახურებებით, რომელსაც ის ტელეკომუნიკაციების ბაზარს სთავაზობს. მომსახურება, რომელსაც ჩვენ მომხმარებელს შევთავაზებთ, არაა საქართველოში, არამედ რეგიონშიც პირველი იქნება. მომსახურება, რომელიც ბაზირებული იქნება თბილისში, საშუალებას მისცემს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ ინსტიტუტებს, თავის მომხმარებელს მობილური ფინანსური სერვისები შესთავაზონ. მომსახურება დაფუძნებული იქნება მათ მობილურ ტელეფონებზე. აღნიშნული მომსახურ-

ება ევროპაში არ არსებობს, რადგან ამ მომსახურებას სპეციფიკური ბაზარი სჭირდება და ორიენტირებულია განვითარებად ქვეყნებზე. ევროპის ბაზარს ეს მომსახურება არ სჭირდება. თუმცა აქტივობას ევროპაშიც ვაპირებთ. საქართველოში იქნება განთავსებული ჩვენი ოპერაციების რეგიონული ცენტრი, რომელიც 15 ქვეყანას მოემსახურება: ყაზახეთს, ყირგიზეთს, პოლონეთს და ა.შ. ეს არის ჩვენი გეგმა. როდესაც ბაზარს ვსწავლობდით, დაახლოებით 55-მდე ქვეყანა შევისწავლეთ და, აქედან შევარჩიეთ საქართველო, როგორც რეგიონის წარმართველი ქვეყანა. ჩვენი მომსახურება გათვლილი იქნება მომხმარებლის ყველა სეგმენტზე. მომსახურებას შევთავაზებთ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებსაც ექნებათ სალიცენზიო ხელშეკრულება ჩვენს ქსელთან. საფინანსო ინსტიტუტები ჩვენი კლიენტები იქნებიან, ხოლო ისინი ამ მომსახურებას ყველა ტიპის მომხმარებელს შესთავაზებენ.

OpenRevolution-ი ახლად შექმნილი კომპანიაა. დაახლოებით სამი თვეა, რაც საქართველოს წარმომადგენლობა არსებობს. დაფინანსების წყარო რამდენიმე კერძო საინვესტიციო კომპანიისაგან მივიღეთ. ჩვენი ინვესტიციები კარგად განვითარებული ლიდერი კომპანიები არიან თავიანთ ინდუსტრიაში. მათ სურვილი გააჩნდათ, ეს ინვესტიციები მობილური ფინანსური მომსახურების სფეროში ჩაედოთ და შექმნილიყო მომსახურების ქსელი განვითარებად ქვეყნებში. სათაო ოფისი შეერთებულ შტატებში გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ გასული პერიოდი საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე იყო, აქ შემოსვლის რამდენიმე მიზეზი გვქონდა: ბიზნესგარემო არის ძალიან კარგი, ბიზნესის რეგულირება არის ძალიან კარგი და პოტენციური მომხმარებელი საკმაოდ მაღალი დონით გამოიჩინა. ეს ყველაფერი კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია."

საფონდო ბირჟაზე "სახალხო ბანკის" აქციებზე მოთხოვნა შემცირდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე "სახალხო ბანკის" აქციებზე მოთხოვნა შემცირდა. ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე ბანკის 107 957 ფასიანი ქალაქი გაიყიდა, რაც წინა გაყიდულთან შედარებით 105 214 აქციით ნაკლებია.

დღეს გამართულ ვაჭრობაზე "სახალხო ბანკის" აქციებზე 3 გარიგება დაიდო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ კი 6 477 ლარი შეადგინა. ბანკის ერთი აქცია საშუალოდ 0.060 ლარი ღირდა.

საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "სახალხო ბანკის" 2 697 427 ფასიანი ქალაქი გაიყიდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 165 211 ლარი შეადგინა.

"სახალხო ბანკი" სულ 1 572 110 000 ფასიანი ქალაქი ფლობს, საიდანაც 1 434 047 240 აქცია, ანუ 91.218 პროცენტი ახლად დაარსებულმა საინვესტიციო ფონდმა "Liberty Investment"-მა 15 მლნ აშშ დოლარად შეიძინა. **ინტერპრესნიუსი**

"საქართველოს ბანკის" ერთი აქცია საშუალოდ 13.700 ლარი ღირს

თბილისის საფონდო ბირჟაზე "საქართველოს ბანკის" აქციებზე მოთხოვნა შემცირდა, თუმცა ფასი გაიზარდა.

ბირჟაზე დღეს გამართულ ვაჭრობაზე ბანკის 185 ფასიანი ქალაქი გაიყიდა, რაც წინა ვაჭრობაზე გაყიდულთან შედარებით 72 აქციით ნაკლებია. დღეს გაყიდული აქციების ჯამური ღირებულება 2 535 ლარით განისაზღვრა.

"საქართველოს ბანკის" ერთი აქცია დღეს საშუალოდ 13.700 ლარი ღირდა.

თბილისის საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" 10 325 აქცია გაიყიდა, რაც ოქტომბერში გაყიდულთან შედარებით 1 259 ფასიანი ქალაქით ნაკლებია.

გასული თვის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" აქციებზე 25 გარიგება დაიდო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ 132 825 ლარი შეადგინა. **ინტერპრესნიუსი**

"ბილაინი" აბონენტებს 2010 ლარამდე თანხის მოგების შესაძლებლობას აძლევს

ბილაინი თავის ახალ და უკვე არსებულ აბონენტებს 2010 ლარამდე თანხის მოგების შესაძლებლობას აძლევს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" შპს "მობიტელიდან" აცნობდა, აღნიშნულთან დაკავშირებით წამახალისებელი აქცია "საქართველოს ლატარიის კომპანიასთან" ერთად ტარდება.

აქციის ფარგლებში, ნებისმიერი აბონენტი, რომელიც "ბილაინის" ქსელში სატარიფო გეგმით "ხუთიანი" 5-ლარიანი კომპლექტით ჩაერთვება, ერთ მომგებიან ბილეთს - "სახალხო მოგება" მიიღებს. აბონენტს კი, რომელიც "ბილაინისგან" სიმ ბარათის, ნომრისა და აღნიშნულ ნომერზე დარიცხული 2 ლარით კომპლექტს შეიძენს, ორ მომგებიანი ბილეთი გადაეცემა.

გარდა ამისა, კომპანიის გაყიდვების და აბონენტთა მომსახურების ცენტრში, ბალანსის 10 ლარით შეესაბამებულ შემთხვევაში, "ბილაინის" აბონენტს ერთი მომგებიანი ბილეთი "სახალხო მოგება" გადაეცემა.

აქცია მთელი საქართველოს მასშტაბით ვრცელდება და იგი 2010 წლის 15 იანვრამდე გაგრძელდება. "ეს არის პირველი ერთობლივი აქცია საქართველოს ლატარიის კომპანიასთან". იმედი გვაქვს, აქცია წარმატებული იქნება ჩვენი აბონენტებისათვის. "ბილაინის" თანამშრომლობა "საქართველოს ლატარიის კომპანიასთან" კვლავ გაგრძელდება," - განაცხადა შპს "მობიტელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეონა ბაღდავაძემ. **ინტერპრესნიუსი**

ანტიკრიზისულ საბჭოზე დონორთა კონფერენციის მიერ გამოყოფილი დახმარებების მიზანმიმართული ხარჯვის საკითხებს განიხილავენ

ანტიკრიზისული საბჭოს ხვალინდელ სხდომაზე ბრიუსელის დონორთა კონფერენციის მიერ გამოყოფილი დახმარებების მიზანმიმართული ხარჯვის საკითხებს განიხილავენ.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ანტიკრიზისულ საბჭოში განუცხადეს, ხვალინდელ სხდომაზე მოხდება აღნიშნული თანხების ხარჯვის შეფასების მიზნით ჩატარებული მონიტორინგის მასალების პრეზენტაცია.

სხდომაზე მინეველნი არიან გერმანიის, აშშ-სა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები, რეგიონული განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროს, ასევე, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები. **ინტერპრესნიუსი**

„გაერთიანებული ტელეკომის“ საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

„გაერთიანებული ტელეკომი“ თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20\$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი“ ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.

შემსუბუქებული ბრალდება

სასამართლომ დაასრულა გამოძიება სერგო ბესელიას, როინ ცაგარელის, რატი მილორაგას და ვალერი კირვალიძის მიმართ. სასამართლო გამოძიების ეტაპზე მოსმენილი ჩვენებების შეფასების შედეგად, პროკურატურამ მიიჩნია, რომ სერგო ბესელიას, რატი მილორაგას, როინ ცაგარელის და ვალერი კირვალიძის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა შეიცვალოს კანონით გათვალისწინებული მუხლის შედარებით მუბუქი ნაწილით. "არსებობს საკმარისი მტკიცებულებები სერგო ბესელიას, რატი მილორაგას, როინ ცაგარელის და ვალერი კირვალიძის ბრალეულობის დასადასტურებლად, თუმცა პროკურატურამ გაითვალისწინა სასამართლო გამოძიებისას გამოკვეთილი გარემოებები და მოითხოვა უფრო მსუბუქი მუხლები, ვიდრე ძიების დაწყებისას იყო გათვალისწინებული," - აცხადებენ მთავარ პროკურატურაში. პროკურატურამ არასრულწლოვნების რატი მილორაგასა და ვალერი კირვალიძის მიმართ სასჯელის სახედ და ზომად მოითხოვა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, რაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული მინიმალური სასჯელია. სერგო ბესელიასა და როინ ცაგარელსაც შეუმსუბუქდათ ბრალდება და მათ მიმართ პროკურატურამ მოითხოვა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4000 ლარი.

ახალი მინისტრის მთავარი მიზანი

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ახალი მინისტრ ხათუნა კალმახელიძის მთავარი მიზანი, როგორც თავად აცხადებს, პრობაციონერებისა და მსჯავრდებულთა საზოგადოებაში უმტკივნეულო და ოილი დაბრუნება იქნება. ახალი მინისტრის თქმით, ის სისტემას დეტალურად ეცნობა. "არსებობს კონკრეტული პრობლემები, თუმცა მთავარი მიზანი იქნება, ყველაფერი მსჯავრდებულების საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებისთვის გაკეთდეს. მისივე განცხადებით, 2010 წლისთვის საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება ამ მიმართულებით დაგეგმილია," - განაცხადა ხათუნა კალმახელიძემ. ის მინისტრის რანგში მთავრობის სხდომას გუშინ პირველად დაესწრო. კალმახელიძე სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად გუშინწინ დაინიშნა. მან ამ პოსტზე დიმიტრი შაშკინი შეცვალა. მანამდე კალმახელიძე საგარეო საქმეთა სამინისტროში პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო.

ინტერპრესნიუსი

სამემკვიდრეო საქმეთა ელექტრონული არქივი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში პალატის სანოტარო არქივში განთავსებული მემკვიდრეობის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ანდერძის თაობაზე არსებული მონაცემების ელექტრონულ ბაზაში აღრიცხვის პროცესი დაიწყო. როგორც ნოტარიუსთა პალატაში აცხადებენ, პალატის არქივში არსებული მონაცემთა ბაზა 1950 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში არსებულ შესაბამის სანოტარო დოკუმენტაციას მოიცავს. ელექტრონულ სანოტარო პროგრამაში ამომწურავი ინფორმაცია განთავსდება მემკვიდრეობისა და იმ მემკვიდრეობის თაობაზე, რომელთაც სანოტარო ბიუროში შეტანილი ჰქონდათ მანცხადება სამკვიდრო მონაშობის მიღებასთან დაკავშირებით ან სამკვიდრო მონაშობა აქვთ უკვე მიღებული. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღწერის პროცესში საქართველოში ყველა მოქმედი ნოტარიუსიც ჩაერთვება, რომელთა სანოტარო ბიუროებში არსებული მონაცემები, ასევე განთავსდება ელექტრონულ სანოტარო რეესტრში. სამემკვიდრო საქმეებთან დაკავშირებული მონაცემების ერთიანი ელექტრონული ბაზა მოქალაქეთა მომსახურებას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. ამასთან, ნოტარიატის შესახებ კანონპროექტის მიხედვით, მოქალაქეს სამკვიდრო მონაშობის მისაღებად განცხადების შეტანა ნებისმიერ ნოტარიუსთან შეეძლება. ამის საშუალებას კი სამემკვიდრეო საქმეთა ერთიანი ელექტრონული ბაზა იძლევა.

ინტერპრესნიუსი

მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ ლელოვანში მცხოვრები, 1991 წელს დაბადებული გიგა არაბული დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით, არაბულმა სოფელ ჟებოტაში მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული ლამა დულუხაური მოკლა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. სამართალდამცველების განცხადებით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

ინტერპრესნიუსი

დაუსველი 300-მეტრიანი რადიუსი

ქუთაისში "დიდების მემორიალის" აფეთქებასთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა კომპანია "საქვეთქმრენვის" კიდევ ორი თანამშრომელი - თენგიზ დარახველიძე და თემურ გადაბაძე დააკავეს. როგორც მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, ორივე მათგანი პასუხს აკებს 240-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, თენგიზ დარახველიძე და თემურ გადაბაძე, რომლებიც კომპანია "საქვეთქმრენვის" თბილისისა და ქუთაისის ბიუროების ხელმძღვანელები არიან, პასუხისმგებლები იყვნენ უსაფრთხოების ზომების

დაცვაზე. "ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოების წესი და სათანადო უსაფრთხოების ღონისძიებების ჩამონათვალი განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდური მითითებებითა და ნორმატივებით. ქუთაისში, დიდების მემორიალის დემონტაჟისას, სამწუხაროდ ეს მოთხოვნები სრულად და მასშტაბურად არ იქნა დაცული სამუშაოთა მწარმოებლების მხრიდან. კერძოდ, მათ არ განსაზღვრეს უსაფრთხოების ზონა, რის გამოც მოსახლეობის ევაკუირება განხორციელდა 211-მეტრიან რადიუსზე, ნორმატივებით განსაზღვრული მინიმუმ 300-მეტრიანი რადიუსის ნაცვლად. ტრაგიკული შემთხვევა კი სწორედ ასაფეთქებელი ობიექტიდან 273,5 მეტრში დაფიქსირდა," - გან-

მარტავენ მთავარ პროკურატურაში.

გარდა ამისა, გამოძიების მასალებით, სამუშაოთა მწარმოებლები ვალდებული იყვნენ ასაფეთქებელი მოედანი შემოეფარგლათ სპეციალურად მომზადებული საფარი ნაგებობებით, ე.წ. მინაყრილებით. ეს მოთხოვნაც, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაცული. კერძოდ, 9-10 მეტრის სიმაღლის მინაყრილის ნაცვლად, გაკეთდა მხოლოდ 4 მეტრის სიმაღლის საფარი, რაც არ იყო საკმარისი აფეთქების შედეგად გამოტყორცნილი ქსნების შესაკავებლად. საგამოძიებო ჯგუფის წინასწარი დასკვნით, სწორედ ეს ფაქტორები გახდა ტრაგედიის ძირითადი მიზეზი.

როგორც მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, საქმეზე გა-

მოძიება გრძელდება. მიმდინარეობს ტექნიკური ექსპერტიზა და არ არის გამორიცხული, ძიების დასრულებამდე კიდევ რამდენიმე პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის მეორე დღესვე, უსაფრთხოების წესების დარღვევის ბრალდებით, სამართალდამცველებმა "საქვეთქმრენვის" ტექნიკური დირექტორი ავთანდილ დარსაველიძე დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას უკვე შეუფარდა წინასწარი ორთვიანი პატიმრობა. რაც შეეხება გუშინ დაკავებულ თენგიზ დარახველიძესა და თემურ გადაბაძეს, მათ პროკურატურამ ბრალდება გუშინ წარუდგინა.

საკუთარი ინფორმაცია

“საოჯახო სამართალი” კანონის ჩარჩოში

თამარ ქაშიჩაძე

საზოგადოებისთვის ყოველთვის აქტუალური და საინტერესოა ისეთი სამართლებრივი საკითხი, როგორცაა მეუღლეების ქონებრივი უფლება-მოვალეობები, მათ შორის განქორწინების პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, "ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში." ქართული კანონმდებლობით, საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი, თუმცა გამოწვევის შემთხვევებში, დაიშვება თექვსმეტი წლის ასაკიდან ქორწინება, მხოლოდ მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. სწორედ, მას შემდეგ, რაც მოხდება ქორწინების ოფიციალური რეგისტრირება, არამოქმედდება "საოჯახო სამართალი," რომლის თითოეული დეტალი კანონით არის დარეგულირებული და დაცული, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოში ფართოდ გავრცელებულ არარეგისტრირებულ ქორწინებაზე, რის გამოც, კონფლიქტის შემთხვევაში, დაზარალებული მეუღლის ინტერესების დაცვა შეუძლებელი ხდება. "საოჯახო სამართალზე" გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი.

- რა სახის ქონებრივი უფლებები გააჩნიათ საქართველოში ოფიციალურ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსით თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება განურჩევლად იმისა თუ რომელმა მეუღლემ შეიძინა იგი, წარმოადგენს მეუღ-

ლეთა საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ კუთხით საინტერესოა ის დებულება, რომლითაც, ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მამინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი საოჯახო საქმიანობას ეწეოდა, შვილებს უვლიდა ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავალი არ ჰქონდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ის ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნოდა ქორწინებამდე, ან ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიიღო რომელიმე მათგანმა მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ასევე წარმოადგენს მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას და მასზე თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. თუმცა, აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება მეუღლეთა თანასაკუთრებად ჩაითვალოს თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განვული ხარჯების შედეგად, ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ქონება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების საგანი იყოს, თუმცა მეორე მეუღლის ძალისხმევით მისი ძირეული ტრანსფორმირება მოხდა, რაც ასეთ ქონებას სამართლებრივი რეჟიმს შეუცვლის.

- ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეთა ქონებაზე დავობენ, რომელიც, მართალია, თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე იყო რეგისტრირებული.

- გეთანხმებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეები საკუთრებას ქორწინების პერიოდში იძენენ, მაგალითად, უძრავ ქონებას - სახლს. ასეთ შემთხვევაში, საოჯახო სამართალში ასეთი ქონება ითვლება თანასაკუთრებად. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ დროს სახლს თავის სახელზე საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლე იფორმებს და სანივით სამართლებრივი უფლება, კერძოდ, საკუთრების უფლება მხოლოდ ერთ მეუღლეზე რეგისტრირდება, რომელიც შემდეგ ამ ქონებას ასხვისებს, რითაც მეორე მეუღლე ზარალდება. ამ შემ-

თხვევაში, დაზარალებული ვერაფერს იზამს. შესაბამისად, რჩევის სახით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება მეუღლეებმა უნდა დაირეგისტრირონ საერთო საკუთრებად, რათა შესაძლო პრობლემები თავიდან აირიდონ - ეს კი მეუღლეთა საერთო ინტერესში შედის.

- ბატონო ირაკლი, თქვენ ახსენეთ საქორწინო ხელშეკრულება, ამ ინსტიტუტზეც ვისაუბროთ, რადგანაც იგი მაინც ახალია ქართული საოჯახო სამართლისთვის და მას იშვიათად გამოიყენებენ პრაქტიკაში.

- საქორწინო ხელშეკრულება მეტად პრაქტიკული ინსტიტუტია, კარგად აპრობირებული იცნობს და დანერგული ვეროპულ სახელმწიფოებში, მას ჩვენი კანონმდებლობაც მეუღლეებს მისი გაფორმება შეუძლიათ, ქორწინების რეგისტრაციამდე და ძალაში შედის რეგისტრაციის მომენტიდან. მისი გადაფორმება შესაძლებელია ასევე ქორწინების განმავლობაში ნებისმიერ დროს. აღსანიშნავია, რომ საქორწინო ხელშეკრულება აუცილებელ სანოტარო დამონშებას საჭიროებს. მსგავსი ხელშეკრულებით შეიძლება მხარეებმა, მეუღლეებს ვგულისხმობ, მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გაითვალისწინონ როგორც ქორწინების განმავლობაში, ასევე განქორწინებისას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ განსაზღვრონ, თუ ვის რა ქონება ერგება განქორწინებისას, ან თუნდაც ქორწინების განმავლობაში, რა ქონება იქნება რომელიმე მეუღლის განკარგულებაში და ა.შ. ამასთანავე, მსგავსი ხელშეკრულებით შესაძლოა, მეუღლეებმა ამა თუ იმ სახის ინდივიდუალურ ქონებას თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი მიაკუთვნონ ან პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ უცხოური პრაქტიკისაგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტი საქართველოში ამ ეტაპისთვის არ არის ფართოდ გამოყენებული. თუმცა, მისი გამოყენება მრავალ უსიამოვნო წუთს აარიდებდა მეუღლეებს, რომელსაც ისინი განქორწინების სტადიაზე საჯაროდ, სასამართლოს წინაშე განიცდიან.

- ბატონო ირაკლი, მივაღებთ იმ არასასამართლო თემას,

როგორცაა განქორწინება, იქნებ ორიოდ სიტყვით გვითხრათ, თუ რა ფორმით ხდება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად განქორწინება?

- განქორწინება გახლავთ ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი. განქორწინების ორი გზა არსებობს. ერთი და ყველაზე მარტივი ეს არის სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ ორგანოში განქორწინება, როდესაც მეუღლეებს ერთმანეთთან დავა არ აქვთ და ისინი ერთობლივი განცხადებით ტერიტორიულ სამსახურს მიმართავენ. მეორე შემთხვევისას, მხარეებს შორის არსებული დავის შემთხვევაში - ეს შეიძლება იყოს, მეუღლეებს შორის პირადი არაქონებრივი ხასიათის დავა, როგორცაა, მაგალითად, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნები, ასევე, ქონებრივი დავა, თანასაკუთრების გაყოფასთან დაკავშირებით ან არასრულწლოვანი შვილისთვის ალიმენტის დანიშვნის თაობაზე დავა და ა.შ. - ამ შემთხვევებში, მეუღლეები განქორწინებისთვის სასამართლოს მიმართავენ.

განქორწინება სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში ერთობლივი განცხადების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ფორმდება. შეიძლება მკითხველისთვის ისიც იყოს საინტერესო, რომ განქორწინება დასაშვებია ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზეც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, თუ მეორე მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ და კარგულად, ან თუ მეორე მეუღლე სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია ქმედუუნაროდ და ან თუ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა. ამასთან, ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

რუსეთი თურქმენეთს გაზში პოლიტიკურ ფასს უხდის

პირველი გვერდიდან

წინასწარი ინფორმაციით, რუსეთი მზად იყო, 2010-დან 2012 წლის ჩათვლით თურქმენეთისგან 10-11 მილიარდი კუბური მეტრი გაზი ეყიდა, რაც ადრინდელ მოცულობაზე ოთხჯერ ნაკლებია. კიდევ ერთი დაბრკოლება იყო ბუნებრივი აირის ფასი - მხარეები ვერანაირად ახერხებდნენ ამ საკითხში შეთანხმების მიღწევას.

აშხაბადში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ "გაზპრომის" თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ მედვედევმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ დოკუმენტით განსაზღვრულია მიწოდების ყველა პირობა, მათ შორის მოცულობა და ფასები. მაგრამ მას არ დაუსახელებია კონკრეტული ფასი და მხოლოდ ის შენიშნა, რომ ფასი "ევროპული გაზის ბაზრის პირობების სრული გათვალისწინებით" გამოითვლება.

ბოლო დრომდე "გაზპრომი" თურქმენული გაზის ექსპორტის ერთადერთი არხი იყო. თურქმენეთში მოპოვებული გაზის ორი მესამედი რუსული მონოპოლიის მილსადენების გავლით მიედინებოდა უცხოეთში, ძირითადად - უკრაინაში. ექსპორტის შეჩერება თურქმენეთს თვეში, დაახლოებით, მილიარდ დოლარს აკარგვინებდა.

თუმცა, აშხაბადის შეუპოვარმა მცდელობამ, მოეხდინა



ექსპორტის დივერსიფიცირება, თავისი პირველი შედეგი უკვე გამოიღო. გაიხსნა მილსადენი ცენტრალური აზიის ყველა ძირითადი გაზის მწარმოებელი ქვეყნიდან ჩინეთისაკენ.

"თურქმენული გაზის მთლიანად შესყიდვა "გაზპრომს" უკვე აღარ სურს, - განაცხადა ექსპერ-

ტმა ცენტრალური აზიისა და კავკასიის საკითხებში სანობარ შერმატოვამ, - საქმე ეხება გაზის ფასს, ვინაიდან ის ფასი, რომელსაც წინა წლებში ხელი მოაწერეს ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა, "გაზპრომისთვის" უკვე მიუწვდომელია," - განმარტა მან.

გაზის მიწოდების აღდგენის გარდა, რუსეთმა და თურქმენეთმა, პრეზიდენტების დონეზე, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას "ენერჯეტიკისა და მანქანათმშენებლობის სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის გაფართოების შესახებ". ასევე მხარეები შეთანხმდნენ, რომ

ერთობლივად განახორციელებენ კასპიისპირა გაზსადენის და მილსადენ ალმოსავლეთ-დასავლეთის პროექტს, რომელიც თურქმენული გაზის ევროპაში მიწოდებას უზრუნველყოფს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთი ტყავიდან ძვრება, რათა როგორმე თურქმენეთის გაზი არ დაკარგოს და, რაც მთავარია, პროექტი "ნაბუკო" ჩაშალოს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის ექნება ამ პროექტების განსახორციელებელი ფული რუსეთს, მისი ეს მცდელობა უყურადღებოდ მაინც არ უნდა დარჩეთ რუსეთის კონკურენტებს. სამწუხაროდ, ჯერ არ დაფიქსირებულა რეალური ფასი და ზუსტად ვერ გამოვთვლით, რა დანაკარგებზეა ნამსვლელი "გაზპრომი". "ევროპული ფასი" და "ევროპული ბაზრის პირობების გათვალისწინებით გამოთვლილი ფასი" ერთი და იგივე ნამდვილად არ არის. ერთი რამ ნათელია - შარშანდელი სიტუაცია, როცა "გაზპრომი" თურქმენეთს 375 დოლარს უხდიდა და ევროპაში ბუნებრივ აირს 280 დოლარად ყიდდა, მისთვის უკვე მიუწვდომელია.

ყველა შემთხვევაში, ეს რუსეთის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და მალე გამოჩნდება, თუ რამდენს გადაიხდის მასში.

ნარკომაფიის "სუპერბოსი" მოკლულია

მექსიკის პოლიციამ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში, ნარკობარონების "ბოსების ბოსი" არტურო ბელტრან ლეივა მოკლა. ლეივა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი იყო მექსიკური მაფიის წევრებს შორის. ლეივას გარდა, მექსიკელმა სამართალდამცველებმა მისი კიდევ ოთხი თანამოაზრის ლიკვიდაცია შეძლეს.



ლეივას ლიკვიდაციის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა სამართალდამცველებს სამაგიერო გადაუხადეს. მათ გაიტაცეს ექვსი პოლიციელი, რომელთა მოკვებითი თავებიც,

გატაცებიდან მეორე დღეს, დურანგოს შტატში, ქალაქ კუნეკამეს ერთ-ერთი ეკლესიის ეზოში დაყარეს. პოლიეთილენის პარკებში მოთავსებული თავები მეზოვეებმა

იპოვეს. პოლიციელთა სხეულების ნაწილის ამოცნობა მხოლოდ იდენტიფიკაციის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

უცხოური პრესის ინფორმაციით, მექსიკელი სამართალდამცველები უკვე ოფიციალურად აცხადებენ, რომ ნარკოდილერთა დაჯგუფება Gulf-მა პოლიციელებს დაჯგუფების წევრების ლიკვიდაციისთვის სამაგიერო გადაუხადა. Gulf-ი მექსიკაში მოქმედი ერთ-ერთი ძლიერი დაჯგუფებაა, რომლის წევრიც ლეივა გახლდათ. როგორც გაირკვა, რამდენიმე წლის წინ, ლეივა, თავის ძმებთან ერთად, Sinaloa-ს დაჯგუფებას განუდგა და დაქირავებული მკვლელების Los Zetas ბრიგადაში გაერთიანდა.

სწორედ ეს ამბავი გახდა მექსიკელ კრიმინალებს შორის გაჩაღებული მრავალწლიანი ომის მიზეზი. ოფიციალური ინფორმაციით, 2006 წლიდან დღემდე, ამ ორი დაჯგუფების დაპირისპირებას 14 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

ბელტრან ლეივა 24 ყველაზე საშიში დამნაშავეს სიაში შედიოდა, რომლებსაც მექსიკის ხელისუფლება ეძებდა. მისი დაკავებისთვის

დანესებული იყო 2,1 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდოც. თუმცა, ჯერ არ ვრცელდება არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე, მიიღო თუ არა ვინმე ეს ჯილდო.

ვაშინგტონი მექსიკაში მიმდინარე "ომს" ყურადღებით ადევნებს თვალს. მექსიკის ტერიტორიიდან კონტრაბანდული "კოკაინის" ძირითადი რაოდენობა სწორედ ამერიკაში შედის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მთავრობა, როგორც ფინანსური, ისე შეიარაღების თვალსაზრისით დიდ დახმარებას უწევენ მექსიკელ კოლეგებს. გასული კვირის ოთხშაბათს მექსიკის მთავრობამ ამერიკელი კოლეგებისგან მაფიის წინააღმდეგ რეიდების ჩასატარებლად საჩუქრად ხუთი ვერტმფრენი მიიღო.

გარდა ამისა, ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, მექსიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო წესებია შემოღებული, ხოლო მაფიასთან საბრძოლველად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან 49 ათასი ჯარისკაცი გადაყვანილი.

ავღანური "ჰეროინის" მსხვერპლი

რუსეთის ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, რუსეთში ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" მოხმარების შედეგად ყოველწლიურად 30 ათასი ადამიანი კვდება.

"ჰეროინი", რომელსაც რუსეთში მცხოვრები ნარკომანები

მოიხმარენ, ძირითადად, ავღანეთშია ნაწარმოები, მისი ქიმიური შემადგენლობა ხშირ შემთხვევაში, სიკვდილს იწვევს. სწორედ მისი გამოყენებაა მიზეზი ნარკომანთა გახშირებული სიკვდილიანობისა," - განაცხადა რუსეთის ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის უფროსმა.

მისივე ინფორმაციით, ავღანური "ჰეროინის" მოხმარებისგან რუსეთში ყოველწლიურად კვდება 80 ნარკომანზე მეტი.

"ყოველწლიურად რუსეთში კვდება ორჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ავღანეთის ომში 10 წლის მანძილზე. ავღანეთიდან გახსნილია მასიური ნარკოტრაფიკი, რო-

მელიც ადამიანთა მკვლელობაზეა გათვლილი," - აცხადებს ფედერალური სამსახურის უფროსი, რომელსაც უწყების პრეზიდენტი, 2009 წელს ავღანეთიდან ნარკოტიკების კონტრაბანდა ძალზე გაიზარდა.

"ავღანეთი დიდი ხანია ნარკოსახელმწიფოდ ჩამოყალიბდა - ავღანეთის ნარკოტიკების მწარმოე-

ბელი ფაბრიკის "ჰეროინით" მსოფლიო ბაზრის 93 პროცენტი მარაგდება. ამ დროისთვის ავღანეთის ტერიტორიაზე ინახება 10 ათას ტონაზე მეტი სუფთა "ჰეროინი," - აცხადებს რუსეთის ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის უფროსი.

სერბეთს ევროკავშირის ნევრობაზე განაცხადი შეაქვს

თათა კახაძე



სამშაბათს სერბეთმა ოფიციალური განაცხადი შეიტანა ევროკავშირში გაწევრიანების თხოვნით. ამისთვის ქვეყნის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი გუშინ პირადად ჩავიდა სტოკჰოლმში, სადაც მან შესაბამისი დოკუმენტი შვედეთის პრემიერ-მინისტრ ფრედერიკ რეინფელდტს გადასცა. შვედეთი ამჟამად ევროკავშირს თავმჯდომარეობს.

ევროკავშირში დღეს 27 ქვეყანა შედის. მისი წევრები 2006 წელს ბულგარეთი და რუმინეთი გახდნენ. სერბეთს იმედი აქვს, რომ გაერთიანების 28-ე წევრი გახდება.

ცოტა ხნის წინ ევროკავშირმა ბელგრადთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაყიწული შეთანხმება აამოქმედა. ბევრმა ექსპერტმა აღნიშნულ ნაბიჯში სერბეთის გაერთიანებაში გაწევრიანებისთვის დადებითი ნიშანი დაინახა.

თუმცა, მოლაპარაკებების დასაწყებად სერბეთმა ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბარიერი უნდა გადალახოს: დაიჭიროს ჯერ კიდევ ძებნილები, ბალკანეთის ომში მონაწილე პირები, რომლებსაც სამხედრო დანაშაულები ედებათ ბრალი.

სერბეთში მიაჩნიათ, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ქვეყანამ ევროკავშირთან დასახლოვებად სერიოზული ნაბიჯები გადადგა, აამოქმედა ძალიან მნიშვნელოვანი სავაჭრო შეთანხმება და ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ ბელგრადთან უფიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი.

თუმცა, ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, პირველ რიგში - ნიდერლანდები, აცხადებს, რომ სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი პირობაა ორი სამხედრო დანაშაულის დაჭერა, რომელთა ექსტრადი-

ციასაც ყოფილ ოფიციალურ სამხედრო დანაშაულის შესახებ საერთაშორისო ტრიბუნალი დიდი ხანია თხოვს.

ერთი-ერთი მათგანია ბოსნიელი სერბების არმიის ყოფილი ხელმძღვანელი რატკო მლადიჩი, ხოლო მეორე - გორან ხაჯიჩი,

რომელმაც სამხედრო დანაშაული ხორვატიის ტერიტორიაზე ჩაიდინა. გაერო-ს სპეციალური ტრიბუნალი,

რომელიც ყოფილი ოფიციალური ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებების გამოსაძიებლად შეიქმნა, მლადიჩს 1992-1995 წლების ბოსნიის ომის დროს გენოციდა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს ბრალს. მლადიჩის დანაშაულის მთავარი ეპიზოდია მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედროების მიერ 1995 წლის ივლისში სრბენიკაში 7500 ბოსნიელი მუსლიმანის მკვლელობა.

მლადიჩი უკვე 14 წელია, იმალება. 2008 წელს სერბეთის უსაფრთხოების ძალებმა მისი ძებნა გაააქტიურეს.

მლადიჩის და ხაჯიჩის ძებნას გაერო-ს სამხედრო დანაშაულის სპეციალური კომისია აკვირდება და რეგულარულად აქვეყნებს მოხსენებებს მის შესახებ, საკმარისია თუ არა ის მონდომება, რომელსაც სერბეთის ხელისუფლება ამ საქმეში იჩენს. მომდევნო მოხსენების წარდგენა 2010 წლის ივნისისთვის ივარაუდება და ამაზე სერბეთის ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს. თუ მოხსენება სერბეთის მკვლელობას დადებითად შეაფასებს, ბელგრადი იმედოვნებს, რომ ამსტერდამი პოზიციას შეარბილებს და გაერთიანებაში სერბეთის გაწევრიანების პროცესს მომდევნო ფაზაში შესვლის საშუალებას მისცემს.

სერბეთს წინ ადვილი გზა არ ელოდება. ექსპერტების გამოთვლით, მას შესაძლოა ოთხი წელი დასჭირდეს, სანამ ევროკავშირის წევრობას მიაღწევს.

უთანხმოება ირანის სანქსიებზე

ჩინეთმა გარკვევით განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამერიკისა და ევროპის მცდელობას, რათა გაერო-მ ირანის წინააღმდეგ სანქციები შემოიღოს. ოფიციალური პეკინის აზრით, აუცილებელია ირანთან მისი ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებს კიდევ ერთი შანსი მისცენ.

"ჩვენ ვითხოვთ დამატებით დროს და დამატებით ძალებს, რათა გარღვევა მოხდეს. მოლაპარაკებების კარი ჯერ კიდევ ღიაა. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ჩიხიდან გამოსასვლელად," - განაცხადა გაერო-ს უშიშროების საბჭოში ჩინეთის წარმომადგენელმა ლა იფანმა.

ჩინეთის პოზიცია ამერიკას, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს და გერმანიას იანვარში გაერო-ს წინააღმდეგ სანქციების დაწესების დროს სიძველეს შეუქმნის.

ობამას ადმინისტრაციამ სანქციების დაწესების ვადად 31 დეკემბერი დაასახელა, ცოტა ხნის წინ კი საფრანგეთის წარმომადგენელმა გაერო-ში განაცხადა, რომ სანქციების დაწესების გადადგმას არანაირი აზრი არა აქვს.

ამერიკას და მის ევროპულ პარტნიორებს ეჭვი აქვთ, რომ ირანში ურანის გამდიდრების პროცესი ქვეყნის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის გეგმის ნაწილს წარმოადგენს.

ჩინეთი დიდ ბრიტანეთთან, ამერიკასთან, რუსეთთან და საფრანგეთთან ერთად უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია. უშიშროების საბჭოში მილიანად 15 ქვეყანაა გაერთიანებული. ეს ხუთი ქვეყანა, რომლებსაც უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება აქვთ, გერმანიასთან ერთად ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ირანი, რომ უარი ეთქვა თავის ბირთვულ პროგრამაზე და ოქტომბერში შეწყვეტილი შეხვედრაზე ირანს შესთავაზეს, რომ თავად დაეხმარებოდნენ ურანის გამდიდრებაში, რომელსაც მედიცინაში გამოიყენებდნენ.

ირანის ხელისუფლებას ოფიციალური პასუხი არ გაუცია ამ შეთავაზებაზე, რომელსაც ამერიკა ნდობის ატმოსფეროს გაჩენის წინაპირობად მიიჩნევდა. ირანის მხარე კვლავ ირწმუნება, რომ ურანის გამდიდრება მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

"ჩინეთი ულაპარაკოდ ყველაზე მძი-



ვე კლიენტია. მათი პოზიცია ჩვენთვის რუსეთის პოზიციაზე მეტს ნიშნავს, ამიტომ ჩინეთი კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ სანქციები ამოქმედებულა," - განაცხადა "ეურაზია გრუპ"-ის წარმომადგენელმა კლივ კუპჩანმა.

ჩინეთი და რუსეთი ეწინააღმდეგებოდნენ გაერო-ს იმ რეზოლუციების უმეტეს ნაწილს, სადაც საუბარია სანქციებზე, თუმცა სამჯერ მისცეს ხმა ირანის წინააღმდეგ სადამსჯელი ზომებს, როდესაც მან ურანის გამდიდრების შესახებ შეთავაზების იგნორირება მოახდინა. ეს რეზოლუციები ირანს უკრძალავს ფინანსური ტრანსაქციების განხორციელებას, შემოაქვს ემბარგო იარაღის მიწოდებაზე და იმ პირებს, რომლებსაც ბირთვულ პროექტთან შეხება აქვთ, მიმოსვლას უკრძალავს. "რუსეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილება იწყება. ჩემი ინტუიცია მკარანახობს,

რომ სწორედ ჩინეთი გახდება შეთანხმების გადამწყვეტი გასაღები," - განაცხადა კუპჩანმა.

ლი ფანი გასულ კვირას ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას დაეთანხმა, სადაც მან არ გამოიტყობა, რომ ირანი თავის ურანს გასამდიდრებლად უცხო ქვეყანაში გააგზავნიდა.

"ირანის ხელისუფლების განცხადებებში ჩვენ ვხედავთ მოლაპარაკებებისთვის გარკვეულ მზადყოფნას. თუმცა სად ჩატარდება მოლაპარაკებები და კიდევ სხვა დეტალები დისკუსიის გზით უნდა გადაწყდეს," - განაცხადა ლი ფანი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარ კუშნერის განცხადებით, ევროპული სახელმწიფოები ისეთ სანქციებს უჭერენ მხარს, რომლებიც ირანის ფინანსურ სიტემას და მის ატომურ

პროგრამას კიდევ უფრო დაზარალებს. გასულ კვირას ამერიკის წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა ზენოლას იმ კომპანიებზე, რომლებიც ირანს სანავის მიაწოდებდნენ. ირანი, როგორც ცნობილია, ნაწილობრივ ბენზინის იმპორტზეა დამოკიდებული.

კუშნერისავე თქმით, ობამას ადმინისტრაცია მზად არის სანქციების შექმნის შესახებ, რომ ირანი ბირთვული იარაღის გამოცდის შესახებ. ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ფაღისფრად უწოდა გაზეთ "თაიმსში" გასულ პუბლიკაციას იმის შესახებ, რომ ირანი ბირთვული იარაღის გამოცდას აპირებს. აჰმადინეჯადის განცხადებით, პუბლიკაცია "მთლიანად სიცრუა". ირანის პრეზიდენტის თქმით, ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ კრიტიკა "უგემოვნო ხუმრობებს" ემსგავსება.

თეირანი კვლავ ამტკიცებს, რომ მის ბირთვული პროგრამას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნები აქვს. "ბლუმბერგის" (აშშ) მიხედვით მოამზადა თათა კახაძემ

რევოლუ

აზერბაიჯანული ჩაი და ქართული წყლის ნაყვა

ბაქოს ბიენალემ თანამედროვე ქართულ ხელოვნებასაც უმასპინძლა

ნა ვაკა

“ალუმინიუმი” - ასე ჰქვია ბაქოს საერთაშორისო ბიენალეს, რომელიც წელს უკვე მეოთხედ ჩატარდა და რომელიც 11-დან 18 დეკემბრის ჩათვლით თანამედროვე ქართულ ხელოვნებასაც მასპინძლობდა. ქართველები “ალუმინიუმი” მეორედ მონაწილეობდნენ, მათთან ერთად კი საკუთარი ხელოვნება ბაქოში ოცამდე ქვეყნის ასობით წარმომადგენელმა ჩაიტანა. გვესაუბრება ქართული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ფოტოგრაფი გურამ ნიბახაშვილი.

- რამდენადაც ცნობილია, თქვენ ბაქოს წინა ბიენალეშიც მონაწილეობდით. მაშინდელისგან განსხვავებით წელს ქართული დელეგაცია გაცილებით მრავალრიცხოვანი და შესაბამისად მრავალფეროვანიც იყო.

- ორი წლის წინ ჩემთან ერთად ბაქოს ილიკო და ლუკა ზაუტაშვილები, ირა კურმაევა, მამუკა ჯაფარიძე და გიორგი ჯაფარიძე სტუმრობდნენ, კურატორი კი მაგდა გურული გახლდათ. სწორედ აქ გავიცანი თანამედროვე ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელი ლილა ახუნაძე, რომელმაც მომავალ ბიენალეზეც მივიწვია. ამჯერად ბაქოში კოტე ჯინჭარაძე, კოკა რამიშვილი, სოფო ჩერქეზიძე, ელენე რაქვიაშვილი და თბილისის ფოტოგრაფიის სახლის პროექტის წარმომადგენლები ირა კურმაევა, ლიზა ოსეფაიშვილი, ანა ლორთქიფანიძე, გიორგი მახინაშვილი და მე გახლდით. კოტე ჯინჭარაძე მუზეუმების ცენტრში გამართულ საერთო გამოფენაში ნამუშევრით “დუმილი თანხმობის ნიშნია” მონაწილეობდა (ასევე დიდი დაინტერესება გამოიწვია მისმა პროექტმა “წყლის ნაყვა”), იქვე წარმოადგინა კოკა რამიშვილმა პროექტი “ჩაი”, დანარჩენების ნამუშევრები კი გალერეა “იარაღანში” იყო გამოფენილი.

- თანამედროვე ქართულ ფოტოგრაფიას თბილისის ფოტოგრაფიის სახლი წარმოადგენდა. რას გვეტყვი მის შესახებ.

- ეს არის ვირტუალური სახლი, რომელიც უკვე სამი წელია არსებობს და დაახლოებით 25 ქართველი ფოტოგრაფის 150-მდე საავტორო ნამუშევარს აერთიანებს (სწორედ ამ სახლის სახელით მივიღეთ მონაწილეობა კიევის ფოტობიენალეში, გამოვეცით ჟურნალ “ფოტოს” ბოლო ნომერი, გვექონდა გამოფენა საფრანგეთში, ორგანიზაცია გაუწიეთ მაიკლ კენას გამოფენას თბილისში, ჩატარდა ჩემი ნიღბების გამოფენა ბათუმში და სხვა). ფოტოგრაფიის სახლს შედგენილი აქვს ერთგვარი კოლექცია, რომელიც პრაქტიკულად ყველა ჟანრის მოიცავს. ამჯერად ბაქოში სხვადასხვა თაობის ავტორთა კონცეპტუალური ნამუშევრები წავიღეთ. მაგალითად, გიორგი მახინაშვილმა 3D-ში გაკეთებული კომპიუტერული ნამუშევრები წარმოადგინა, ირა კურმაევა - პროექტი “სენსორები”, ლიზა ოსეფაიშვილმა ნამუშევარი სახელწოდებით “პინკი” სერიიდან “თამაშები უფროსებისთვის”, მე კი პროექტი მაგრიტისა და მალევიჩის თემაზე “მაგრიტის მისტერია” (სერიიდან “ვიპარავთ მაგრიტს”) და “თეთრი კუბი” რომელიც მალევიჩის “შავი კვადრატის” ერთგვარ რემინისცენციას წარმოადგენს.

- ბიენალე საკუთარი ხელოვნების წარდგენის გარდა სხვისი გაცნობის საშუალებასაც იძლევა. საინტერესოა, ამ მხრივ რამდენად საინტერესო და საინტერესოა მომცველი იყო ბაქოს წლევანდელი ბიენალე.

- მართლაც, ბიენალეს პირდაპირი ფუნქცია იმის დემონსტრირებაა, თუ რა ხდება კონკრეტულ პერიოდში მსოფლიო თანამედროვე ხელოვნებაში, ის ასევე ხელს უწყობს ხელოვნათა ერთმანეთთან დაკავშირებას, დიალოგს, გაცვლით პროექტების ჩასახებას და ასე შემდეგ. თუმცა მას აქვს კიდევ ერთი მთავარი დატვირთვა - გეძლევა შანსი, საკუთარი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრება რაც შეიძლება ამომწურავად და



ყირგიზი მხატვრის ნამუშევარი ასანთის კოლოფებით.



ირა კურმაევის “სენსორები”.



კოტე ჯინჭარაძის პერფორმანსი “წყლის ნაყვა”.

საუკეთესო კუთხით წარადგინო. ამ მხრივ ჩვენმა დელეგაციამ ნამდვილად დატოვა ერთ-ერთი საუკეთესო შთაბეჭდილება, რაზეც ჩვენი პავლიონების დათვალიერების

ინტენსივობაც მოწმობდა. იყო განსაკუთრებით საინტერესო შეფასებებიც. მაგალითად, ერთმა გერმანელმა მხატვარმა ირა კურმაევის “სენსორებთან” დაკავშირებით

აღნიშნა, ასეთი მძაფრი და ემოციური ნამუშევარი დიდი ხანია არ მინახავს.

ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა რუსული ჯგუფი “ლურჯი ცხვირების” პროექტი - დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის შავი გასაბერი დოლარის ნიშანი, რომელიც ხან იბერებოდა, ხან იფუშებოდა. თითქოს არაფერი, მაგრამ კონცეპტუალურად ზუსტად პასუხობდა ამჟამად მსოფლიოში არსებულ ეკონომიკური კრიზისის თემას, რომელიც შესაძლოა რეალურად სწორედ ისევეა გაბერილი და გაბუქებული, როგორც ეს შავი ბუშტი. ასევე ძალიან საინტერესო იყო ყირგიზი მხატვრის ნამუშევარი - ასანთის ნახევრად გახსნილი კოლოფებისგან შემდგარი კომპოზიცია, რომელიც ვიზუალურად აულის შთაბეჭდილებას ქმნიდა. თვითოეულ კოლოფში ჩანებებული იყო საბჭოთა ბელადების - ლენინის, სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის და საბჭოთა ცხოვრების ამსახველი ზოგადი მინიატურული ფოტოები. ეს პირდაპირ მიანიშნებდა, რომ ასეთ აულებში, სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩენილია მაშინდელი მენტალიტეტი, რომ ადამიანები ზოგად აგრძელებენ ცხოვრებას კოლოფებში და იზოლირებულად აზროვნებენ. საერთოდ, ბიენალეზე შუა აზიის ქვეყნების თანამედროვე ხელოვნება საკმაოდ საინტერესო იყო, რადგან იგრძნობოდა, რომ აქ საბჭოთა გავლენა გაცილებით მეტადაა შემორჩენილი, ვიდრე ჩვენთან. მათ პროექტებში შეიმჩნევა სურვილი მეტი შექმნან თანამედროვე ხელოვნებაში, თუმცა ისე, რომ ისევე და ისევე მათ ამჟამინდელ ყოფას გაესვას ხაზი და არ იყოს შენიღბული

დასავლური აზროვნებით. ამ მხრივ დამამახსოვრდა ერთი შუა აზიელი გოგონას ნამუშევარი, რომელმაც წარმოადგინა ფოტოსერია სათვალთვლო კამერიდან გადაღებული ადამიანების სილუეტებით. ეს პროექტი გვახსენებდა, რომ დღესაც ისევე გრძელდება ადამიანების თვალთვალი, მათ ცხოვრებაში ჩარევა, როგორც ეს საბჭოთა სისტემის დროს იყო - დრო იცვლება, მაგრამ ზოგი რამ იმდენად მძაფრადაა შემორჩენილი, რომ თანამედროვე ცხოვრებაშიც ასერხებს ასახვას.

- რას გვეტყვი ვეროპელ ხელოვნებზე. რამდენად შეიმჩნეოდა განსხვავება მათი და თუნდაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენელთა პროექტების იდეას შორის?

- იყვნენ მხატვრები, რომლებსაც ტიპური დასავლური ნამუშევრები ჰქონდათ ჩამოტანილი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც საკუთარ კულტურას აზიურ სამყაროსთან გადაკვეთაში წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა წარმოშობით ჩრდილოკავკასიელი, თუმცა ამჟამად გერმანელ მხატვრად მიჩნეული ნატალია მალის პროექტი. მან საინტერესო პერფორმანსი შემოგვთავაზა: თანამედროვე სუპერმარკეტში ადგილობრივ ბავშვთა ფოლკლორული ანსაბლის ცეკვები დადგა. პროექტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ შესაძლოა ეს ქვეყნები უკვე გადავიდნენ დასავლური ცხოვრების ყაიდაზე (რასაც ამ შემთხვევაში სუპერმარკეტი წარმოადგენდა), მაგრამ მენტალიტეტი, ტრადიციები, ცხოვრების ზოგადი წესი მაინც ავთენტური დარჩა. ფოლკლორი კი ამავდროულად იმ პროდუქტსაც წარმოადგენს, რომელიც შეიძლება კარგად შეფუთო და გაყიდო.

- ბიენალეს ჩატარება ქვეყნისთვის დიდი ფუფუნებაა. აზერბაიჯანი კი ამას უკვე რვა წელია ახერხებს. რამდენადაა ჩართული მის ორგანიზებასა და დაფინანსებაში სახელმწიფო?

- ბაქოს ბიენალე აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს პროდუქტია და მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებით ტარდება. წელს აშკარად შეინიშნებოდა, რომ “ალუმინიუმი” გაიზარდა, წინა წლებთან შედარებით გაცილებით კარგად იყო ორგანიზებული და მონაწილეების რაოდენობაც მეტი იყო, რაც მის წარვალფეროვნებასაც განაპირობებდა. იქ თანამედროვე ხელოვნებისადმი ჩვენგან სრულიად განსხვავებული მიდგომა, სურვილის გარდა მზაობაც განსაკუთრებული აქვთ: ჩვენზე დიდი ხანია ვენციის ბიენალეში მონაწილეობენ, აქვთ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სადაც მხოლოდ აზერბაიჯანელი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრებია დაცული, ამას ემატება უამრავი თანამედროვე საგამოფენო დარბაზი და ასე შემდეგ.

- ხელოვნების ასეთ მასშტაბურ ლონისძიებებზე კარგად ჩანს ისიც, თუ რა გზით ვითარდება თანამედროვე ხელოვნება, რა ფორმებს იქნის, როგორ ტრანსფორმირდება დროსთან მიმართებაში.

- თუ ფორმა და იდეა ერთმანეთს პასუხობს, ცალ-ცალკე არ ვითარდება და ერთ მთლიანობას ქმნის, მაშინ ნამუშევარი გაცილებით შინაარსობრივი და ზემოქმედების უნარია. ეს კი მის სიცოცხლისუნარიანობასაც განაპირობებს. ხოლო თუ მხოლოდ ფორმას იგონებ, რათა მას გამოკვეთილად თანამედროვე ხელოვნება ერქვას, ის გამოფენის დასრულებისთანავე ყველას დაავიწყდება. ამ ბიენალეზე გამოჩნდა, რომ არიან თანამედროვე ხელოვნები, ვინც ფორმასაც და იდეასაც ჩინებულად ახამებს. ნურავინ იტყვიან, რომ თანამედროვე ხელოვნებამ საკუთარი თავი ამოწურა და ამ მიმართულებით ახალი აღარაფერი იქმნება - ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე ამისთვის საკმარისზე მეტ მასალას იძლევა.

“საახალწლო ფესტივალი”

კონსერვატორიის მცირე დარბაზი

24 დეკემბერი

საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი
ნინო გვეტაძე (ფორტეპიანო)
პროგრამაშია: რაველი, ლისტი

25 დეკემბერი

ვოკალური მუსიკის საღამო
ალა სიმონიშვილი (სოპრანო)
ვაჟა ჩაჩავა (ფორტეპიანო)
პროგრამაშია: შუბერტი, შუმანი, ვოლფი, რახმანინოვი

27 დეკემბერი

იოზეფ ჰაიდნი
ფელიქს მენდელსონი
ეთერ მგალობლიშვილი (ორგანი)
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი
დირიჟორი - გიორგი ბაბუაძე

29 დეკემბერი

ლიზა ლეონსკაია (ფორტეპიანო, ავსტრია)
პროგრამაშია: შოპენი
კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში წარმოდგენილი იქნება ქართველ მხატვართა გამოფენა **კონცერტების დასაწყისი 19 საათზე**

ლიანა ისაკაძე ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საშობაო კონცერტს გამართავს

დღეს ცნობილი მევიოლინე ლიანა ისაკაძე ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საშობაო კონცერტს გამართავს. ლიანა ისაკაძე თბილისში პარიზიდან 15 დეკემბერს ჩამოფრინდა. კონცერტზე, რომელსაც ნიკა მემანისვილი უდირიჟორებს, მუსიკოსი მსმენელისათვის ცნობილ ნაწარმოებებს შეასრულებს. **“ჯი-ეიჩ-ენი”**.

რუსეთის ქართველთა კავშირი მედიტონ ქანთარას და სამამულო ომში დაღუპულ ქართველებს ძეგლს დაუდგამს

რუსეთის ქართველთა კავშირი საქართველოში მედიტონ ქანთარას, ხოლო რუსეთში დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველებს ძეგლს დაუდგამს. განცხადებას ამის შესახებ რუსეთის ქართველთა კავშირის პრესსამსახური ავრცელებს. “რუსეთის ქართველთა კავშირი პასუხობს ათასობით თანამემამულეთა მიმართვას და იღებს გადაწყვეტილებას უახლოეს დროში საქართველოში მედიტონ ქანთარას ძეგლის დადგმის შესახებ. ასევე კავშირის თანხებით ძეგლი დაიდგება რუსეთში დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველების პატივსაცემად”, - ნათქვამია განცხადებაში. **“ჯი-ეიჩ-ენი”**.

23-ე სატარო სკოლაში დევნილ პედაგოგთა ფორუმი ჩატარდება

გუშინ 23-ე საჯარო სკოლაში დევნილ პედაგოგთა ფორუმი ჩატარდა. ფორუმში, მონაწილეობას თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები დევნილები ღებულობდნენ.

ფორუმზე მიწვეულთა შორის ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ. ფორუმს დაესწრნენ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დევნილთა პრობლემატიკაზე მუშაობენ: ნორვეგიისა და დანიის ლტოლვილთა საბჭო, გაეროს ასოციაცია საქართველოში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი, ევრაზიის ფონდი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში.

ინგილო სტუდენტები სწავლის გადასახადის 30 %-ით შემცირებას ითხოვენ

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინგილო სტუდენტები განათლების სამინისტროსგან სწავლის გადასახადის 30 %-ით შემცირებას ითხოვენ. ეროვნული გამოცდების შედეგებით, 2009 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 79 ინგილო სტუდენტი ჩაირიცხა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა ინგილო სტუდენტმა განუცხადა, სწავლის გადასახადი პროცესზე არ დაკვირვებენ”, - აღნიშნა ინგილო სტუდენტმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლის გოგა ურუძაშის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო პოზიციას გამოხატავს. **“ჯი-ეიჩ-ენი”**.

რვენი დროის ანაბეჭდი

გამოიცა ტექსტის დამდგენი კომისიის მომზადებული “ვეფხისტყაოსანი”

თამარ კიკნაველიძე
პროექტ “ჩვენ და ვეფხისტყაოსნის” ფარგლებში გამოცემული ნიგნების შესახებ გაზეთ “24 საათში” რამდენჯერმე დაინერა. ამ გამოცემებისადმი ინტერესი თემატიკამ და თითოეულის განსაკუთრებულობამ განაპირობა. ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შეხსენება არ სჭირდება იმისა, რომ პროექტით გათვალისწინებული ნიგნების ჩამონათვალს სრულყოფისათვის ერთადერთი აკლდა და ისიც გამოიცა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული პოემის პრეზენტაცია 24 დეკემბერს, 13:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება.



ერთ-ერთი გამოცემის პრეზენტაცია

სუთმაბათს მკითხველი ერთიანად შეავლებს თვალს და გადაფურცლავს სუთტომეულს, რომელზეც “ჯეო ექს ფაბლიშინგმა” და “სეზანმა” იმუშავეს. ამ პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა:

1. **“მოგითხრობთ “ვეფხისტყაოსნის” შესახებ”** (ნიგნი N2), რომელშიც იხილავთ: ინფორმაციას თითქმის ყველა იმ პირზე, ვინც “ვეფხისტყაოსანთან” არის დაკავშირებული, 1 000-ზე მეტ საილუსტრაციო მასალას, 200-ზე მეტი ავტორის სტატია და ნაშრომს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უწესიერის ილია II-ის ვრცელ წერილს: “შოთა რუსთაველი და მისი საღვთისმეტყველო შეხედულებანი” (ქვეყნდება პირველად);

2. **“ვეფხისტყაოსანს” მოგითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია** (ნიგნი N3), სადაც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თხრობას იწყებს თავით: “ამბად მონათხრობი “ვეფხისტყაოსნის” კითხვის დაწყებამდე”. იქვეა მინაწერი: “პოემის თარგმანების საწინააღმდეგოდ”, რაც ნიშნავს იმას, რომ მთხრობელს სურს მკითხველი გაცენოს თავისუფალ მონათხრობს, რომელშიც შეიძლება ზოგი რამ გამოტოვებული იყოს, ზოგი ფაქტი და მოვლენა კი უფრო გამოკვეთილი და ხელშეახები. მას მამია მალაზონიას ილუსტრაციები ამჟღავნებს;

3. **“ვეფხისტყაოსანს” წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი** (ნიგნი N4), რომლისთვისაც მხატვარმა სპარსული, ჩინური, ინდური მოტივები დაამუშავა. იგი მკითხველს ამოგზავნებს XII საუკუნის საქართველოში, სადაც რუსთაველის გმირები კიდევ უფრო რეალურად აღსაქმელია;

4. **“ვეფხისტყაოსნის” გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2008 წ.წ.** (ნიგნი N5), რომლის დახმარებითაც მკითხველი სამი საუკუნის განმავლობაში დაბეჭდილი “ვეფხისტყაოსნის” 300-ზე მეტ გამოცემას ერთიანად გაცნობა. ბიბლიოგრაფიას ერთვის გამოცემათა სატიტულე ფურცლისა და ყდის გაფორმების რუსთაველის მკვლევარნი მას 1937 წლიდან ელოდნენ. მისი დაბეჭდა კი შესაძლებელი თანამედროვე პოლიგრაფიული მიღწევებისა და მისმა ორი ავ-

ტორის, “ვეფხისტყაოსნის” მოტრფიალების - ლევან თაქთაქიშვილისა და მამუკა ჩხეიძის დახმარებით გახდა.

ამ უკანასკნელის გარდა, მკითხველი დანარჩენებს თანმიმდევრულად ეცნობოდა. პროექტი დაგვირგვინდება **სუთტომეულის პირველი ნიგნით - შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნით”**, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (თამაზ გამყრელიძე (თავმჯდომარე), გიორგი არაბული, ბაჩანა გრეგვაძე, ალექსანდრე გვახარია, ცოტნე კიკვიძე, ზურაბ სარჯველაძე, თინათინ ციციტიშვილი) მოამზადა. ამ კომისიის მიერ მიღებული ბოლო რედაქციით გამოცემულ პოემას თან ერთვის ლექსიკონი, რომლის საბოლოო რედაქცია გურამ კარტოზიას ეკუთვნის.

მასში აღნიშნულია, რომ “ვეფხისტყაოსნის” წინამდებარე ტექსტი 1988 წლის გამოცემას (გამომცემლობა “მეცნიერება”) ემყარება. ის ძირითადად მიჩნეულ სტროფებს შეიცავს, გამოწკნის წარმოადგენს ფინალური ეპიზოდი - ე.წ. “ინდო-ხატველთა ამბავი” და “დასასრული”. კომისიის აზრით, პოემის დაბოლოება გვიან დაზიანებულსა და შემდგომში რესტავრირებულ ტექსტს წარმოადგენს, რომელიც ავსებს შინაარსობრივ ხარვეზებსა და კომპოზიციურად კრავს პოემის სიუჟეტს. კომისიამ ამ გამოცემაში ზოგი რამ გაასწორა: გარდა ცალკეული ნაკითხვებისა, ცვლილება მოხდა სტროფულ შემადგენლობაში: სამი სტროფის - 219, 317, 905 - მიიჩნია გვიანდელ ჩანართად. რუსთაველისეულად ჩაითვალა და ძირითად ტექსტში შევიდა შემდეგი ათი სტროფი: 26, 69, 87, 118, 277, 718, 769, 770, 1325, 1392. (გამოცემათა მთავარი რედაქტორია: ლევან ღვინჯილია, იდეის ავტორი - მანანა კარტოზია, დიზაინერ-ილუსტრატორი - გიორგი ბოხუა, დამკაბადონებელი - მაკა ცომია).

პროექტ “ჩვენ და ვეფხისტყაოსნით” გვიწოდდა საზოგადოებისთვის ქართველთა უპირველესი ნიგნის კიდევ ერთი გამოცემა შეგვეთავაზებინა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის შრომა დაგვეფასებინა და მათი ნაამბავარი სამზეოზე გამოგვეტანა. 2007

წლის 9 ივლისს, როცა ამ ნიგნის გამოცემაზე ვთანხმდებოდით, კომისიის შემადგენლობას უკვე აკლდნენ ალექსანდრე გვახარია, ცოტნე კვინიკაძე, ზურაბ სარჯველაძე. 2009 წელს თინათინ ციციტიშვილიც გარდაიცვალა... ჩვენთვის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიასთან მუშაობა უაღრესად საინტერესო იყო, მათი უკომპრომისობა და პასუხისმგებლობა კი ნამდვილად სამაგალითოა. გვსურდა გამოცემას ჰქონოდა წინასიტყვაობა, მაგრამ კომისიის წევრებმა შეთავაზება შორს დაიჭირეს და არც ნიგნის ილუსტრირება ისურვეს. მათ, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ რუსთაველის ჩვენს მიერ შეთავაზებული პორტრეტი, მაგრამ საგამომცემლო ჯგუფიც, ტექსტის დამდგენი კომისიაც და კოლექციონერებიც შევთანხმდით, რომ გიორგი ბოხუას ინტერპრეტაციით რუსთაველის ნიგნი არის ჩვენი დროის ანაბეჭდი”, - გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა შავლეგ შავერდაშვილმა.

პირველი ნიგნის ტირაჟი 500 ცალია. ის უკვე აქვს “ვეფხისტყაოსნის” კოლექციონერ გურამ ახალაიას, რომლის კოლექციაც შესულია “ვეფხისტყაოსნის” გამოცემათა ბიბლიოგრაფიაში.

- როდის დაიწყეთ “ვეფხისტყაოსნის” შეგროვება?

- 1966 წლიდან, როდესაც რუსთაველის 800 წლისთავის აღსანიშნავად “ვეფხისტყაოსნის” პირველი ნიგნი, სასკოლო გამოცემა მაჩუქეს. იმ დღიდან მისი შეგროვების სურვილი გამიჩნდა. ვასული საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვში მოეწყო გამოფენა და ჩემი მეგობრის მამამ, ვახტანგ ნათენაძემ მკითხა მეგრული “ვეფხისტყაოსანი” ხომ არ გაქვსო და როცა ვუთხარი, როგორ არა-მეთქი, შენ კოლექციონერი ყოფილხარო, მითხრა და ასე პირველად მან მომიხსენია. დღეისათვის დიდი და საინტერესო კოლექცია მაქვს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე გამოცემული. მათ შორის ყველაზე ადრეულია 1712 წლის ე.წ. ვახტანგისეული გამოცემა. 2002 წელს ჩემი ორგანიზებით სულ 100 ცალი გამოიცა სასაჩუქრე “ვეფხისტყაოსანი”, რომელსაც ორსილიანი მარმარილოს ყდა აქვს და კაკლის ყუთშია ჩასმული.

- რომელი გამოცემებია განსაკუთრებული?

- ასეთი ბევრია, მაგრამ ქართული გამოცემებიდან საინტერესოა ქართველიშვილისეული “ვეფხისტყაოსნის” 1888 წლის გამოცემა. მას ერქვა “ნიგნი როსკოპისა”, რომლის მომზადებაში XIX საუკუნის მთელი ქართული ინტელიგენცია მონაწილეობდა, მათ შორის: იონა მეუნარგია, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი და სხვები. ისინი დაუკავშირდნენ მიხეილ ზიჩის და ილუსტრაციები შეუკვეთეს. ცნობილია, რომ ზიჩი ილუსტრაციებს “ცოცხალი სურათებით” აკეთებდა და რუსთაველის პროტოტიპად დავით სარაჯიშვილის გამოიყენა. ასევე საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის მიერ ბერლინში 1943 წელს გამოცემული “ვეფხისტყაოსანი”, რომელიც სულ 500 ცალი დაიბეჭდა. არსებობს ლეგენდა, რომ რობაქიძის “ვეფხისტყაოსანი” ხელში ჩაუვარდა ჰიტლერს, რომელსაც ნიგნზე მიუწერია: “ქართველები ნიჭიერი ხალხია...” აღსანიშნავია, რომ 2002 წელს “ვეფხისტყაოსანი” ჩუვაშურ ენაზე გამოიცა, ის საქართველოში მხოლოდ მეექვსე. ასევე, საინტერესოა 1912 წელს ლონდონში გამოცემული ვერსია, 1933 წელს პარიზში გამოცემული ვერსია, რომლის მთარგმნელია კ. ბალმონტი, 1941 წელს შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად თარგმნილი “ვეფხისტყაოსანი”, რომელიც სტალინს ნაუკითხავს. მაშინ ნუცუბიძე დაპატიმრებული ჰყავდათ და სტალინს უთქვამს, აქამდე მომწონდა პეტრენკოს თარგმანი და ნუცუბიძისას რომ გავეცანი, ეს საუკეთესოაო... მან 1416 სტროფი თვითონ თარგმნა და ნუცუბიძის თუ მოეწონება, ასე ააუღეროსო, დაუბარებია... ის გამოცემაში შეიტანეს. თუმცა, 1940 წელს დაბეჭდილი “ვეფხისტყაოსნის” ნაკითხვის შემდეგ სტალინს მასში შესწორებები შეუტანია და 1941 წელს თავიდან გამოუცია, 1940 წლის ტირაჟი კი გავრცელებიდან ამოუღია. ახლა მას “ვეფხისტყაოსნის” ყველა კოლექციონერი ელის. სტალინის ხელით ჩასწორებული ერთადერთი ეგზემპლარი გორის მუზეუმში ინახება.

- რომელ წელს გამოცემული “ვეფხისტყაოსნები” არ გაქვთ?

- მე არ მაქვს 1867, 1903, 1961 და 1963 წლებში გამოცემული “ვეფხისტყაოსნები”. უკანასკნელი ორი პარიზში გამოიცა და ვერ შევიძინე.

- 2009 წელს სად გამოიცა?

- “ვეფხისტყაოსანი” პირველად გამოიცა ლიტვურ ენაზე. ის ჩვენმა თანამემამულემ რაულ ჩილაჩავამ, რომელიც უკრაინის ელჩია ლიტვაში, სამ ენაზე (ქართული, უკრაინული, ლიტვური) გამოსცა. 2009 წელს “ვეფხისტყაოსანი” გამოიცა სანკტ-პეტერბურგში (ქართულ და რუსულ ენებზე), ნიუ იორკში, ყაზახეთში... ამ ჩამონათვალი მნიშვნელოვანია ბოლო რედაქციით მომზადებული “ვეფხისტყაოსანი”, რომლის გამოცემასაც 24 დეკემბერს ვიზეიმებთ.

20 წლის წინ და შემდეგ

ირაკლი გედენიძე - სწორი ვერტიკალები, სწრაფი ჰორიზონტები

სოფო კილაშვილი

სასტუმრო "თორის" საჯარო სივრცეები ხშირად ქვეულსაგამოფენო ცენტრებად. ორი დღის წინ გახსნილი გამოფენაც, სწორედ ამ ტენდენციის მაგალითია. ამჯერად აუდიტორია იქ ფოტოგრაფ ირაკლი გედენიძის პერსონალური გამოფენის განსახილველად შეიკრიბა.

ირაკლი გედენიძე წლების განმავლობაში თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან და მას იცნობენ, როგორც როგორც ერთ-ერთ საუკეთესო და გამოცდილ ფოტორეპორტიორს. მისი პერსონალური გამოფენის სტუმართაგან რამდენიმე საგანგებოდ აღნიშნა, ვარდების რევოლუციის ამსახველი, მის მიერ გადაღებული ფოტოსერიის გამორჩეული ხიზლის შესახებ. ამ სერიიდან ექსპოზიციაში მხოლოდ რამდენიმე მოხვდა, როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც როგორც ბოლო 20 წლის ერთი მოვლენის ამსახველი კადრები. თუმცა, მხოლოდ ამ სერიაზე არ უსაუბრიათ. ირაკლი გედენიძეს ნამდვილად ჰყავს გულშემატკივრები და თავყანისმცემლები, განსაკუთრებით კი საკუთარ კოლეგებს შორის - თუნდაც გოგა ჩანადირი, რომელიც ექსპოზიციას დიდხანს და რუდუნებით ათვალთვლებდა და მსგავსი ქმედებისკენ სხვებსაც მოუწოდებდა.

"20 წლის შემდეგ" - ეს არა მხოლოდ მიმდინარე გამოფენის სათაურია, არამედ ყოველი ექსპონირებული ფოტოწყვილის მიმართების აღმნიშვნელადაც შეიძლება ჩაითვალოს. ფოტოგრაფმა შავ-თეთრი ფოტოებით დაახლოებით 20 წლისწინდელი თბილისი, ქართველების ყოფა, უბრალოდ საქართველო მოგვაცვინა და ყოველ ფოტომომხარისხს წარსულიდან თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფერადი ფოტო მიუსადა-



გა. რიგ შემთხვევებში - დაუპირისპირა. ერთ-ერთ საინტერესო ფოტოზე ვხვდებით გაფუჭებულ ტროლეიბუსს, რომელსაც მგზავრები აწვებიან, მიაჩნობენ... ამ შავ-თეთრმა ფოტომ არაერთი დამთვალეობა შეაჩერა. მას უპირისპირდება თანამედროვე ყვითელი ავტობუსების ცოტა ქაოტური, ბევრი არაფერით გამოჩენული ფოტოსურათი. აქ ავტორმა, ალბათ არა იმდენად ფოტოს კომპოზიციაზე იზრუნა, რამდენადაც მხოლოდ სხვაობის წარმოჩენაზე.

ექსპოზიციაზე სხვადასხვა ფანრის ფოტოებს ჭარბობს პეიზაჟები, პანორამული ტიპის ფოტოები. მათგან ზოგიერთი ძალიან საინტერესოა. მართალია სათაურები არ აქვთ, თუმცა სამების გუმბათიდან დაწყებული

ვერტიკალური ხაზების წყება ალბათ დამთვალეობებთანაა ბევრს დაამახსოვრდა. ეს ფოტო გასაგებია რომ ახალი საქართველოს, ანუ 20 წლის შემდგომი ქვეყნის ამსახველია. ასევე თანამედროვეა ძალიან ფერწერული და დასამახსოვრებელი ფოტოსურათი, რომელიც ერთი შეხედვით ბევრს არაფერს - მანძილს, გზას, სიჩქარეს ერთ მთლიანობაში, ერთ კადრში ასახავს, მაგრამ ძალიან კარგად... გზის "აქტორები" ჰორიზონტებისგან განსხვავებით, სრულიად რადიკალურ განწყობას გვიქმნის ზღვის ჰორიზონტი, ოღონდაც მზის სინათლის ანარეკლის ვერტიკალური ხაზით, ვერტიკალური სიმშვიდით.

მართალია, ხანდახან ძველი და ახალი ფოტოების დაპირისპირების

მიზეზს ვერ ვხვდებით, ბევრად დიდ ინტერესს იმსახურებს შავ-თეთრი, ანუ ძველი ფოტოები, მათი მეტად გააზრებულობის, ხედვის და იდეის სიზუსტის გამო, მართალია, თანამედროვე ფოტოებში ხშირად ზედმეტია ტექნოლოგიური ჩარევები დამუშავებისა და კომპოზიციის "დალაგების" თავლასზრისით, რაც ზოგიერთ პეიზაჟს არაბუნებრიობას სძენს, მაგრამ როგორც ძველ, ისე ახალ სერიაში საკმაოდ ბევრია ისეთი ნამუშევარი, რომელიც დაგამახსოვრებთ. ასე რომ, ფოტოხელოვნებითა და ფოტოჟურნალისტიკით დაინტერესებული მკითხველი სასტუმრო "თორის" აუცილებლად უნდა ესტუმროს.

არქიტექტურა, ცხოვრება, ოცნება, სინამდვილე...

ვახტანგ დავითაიას ორი ახალი წიგნის შესახებ

ნინო ხარატიშვილი

22 დეკემბერს კულტურის ცენტრ "მუზაში", არქიტექტორ ვახტანგ (ჯემალ) დავითაიას წიგნების პრეზენტაცია გაიმართა. მან მიმდინარე წელს ორი წიგნი გამოცა - "პროცესი" და "არქიტექტურა, ოცნება და სინამდვილე." აღნიშნული წიგნების პრეზენტაცია პირველად მასის ბოლოს, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, არქიტექტორთა საერთაშორისო ტრიენალზე გაიმართა. სოფიაში პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი რიჩარდ ინგლანდი, რომელიც "პროცესის" წინასიტყვაობის ავტორია, რასაც დიდ პატივად მიიჩნევს, წერს: "მე დიდი თავყანისმცემელი ვარ ვახტანგის მხატვრობისა, "თვალის ხელში" გზაა, რომლის საშუალებითაც მას გადააქვს თავის გონებაში არსებული გამოსახულებები ქალაქად და აკეთებს ამას შესანიშნავად." იგივეს ამტკიცებს არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის მოსკოვის განყოფილების პრეზიდენტი, - იური პლატონივი და არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, - გეორგი სტილიოვი.



გორ იქმნება პროექტი, თუ როგორ ყალიბდება პირველი იდეიდან, პირველი ნახაზების, პირველი ჩანახატების, მაკეტირებისა და რეალიზაციის ჩათვლით. ანუ აქ აღწერილია მთელი გზა პროექტისაკენ."

მეორე წიგნი, - "არქიტექტურა, ოცნება და სინამდვილე" ვახტანგ დავითაიას პუბლიკაციების ერთგვარი თავმოყრაა. ავტორის მტკიცებით მას ამ წიგნის შექმნისას წინასწარ დასახული, კონკრეტული მიზანი არ ჰქონია. "წიგნი ასახავს

ჩვენს ცხოვრებას, რომელშიც ყოველთვის ხდება რაღაც რეაქციის გამოწვევა და სურვილი გიჩნდება ეს გარკვეული ფორმით გამოხატო. სწორედ ასეთი რეაქციების საფუძველზე შექმენი ეს წიგნი. ეს თავისებური ცხოვრების კრებულა." - დასძინა არქიტექტორმა.

საღამო იუბილარის კოლეგას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის მიმართულების დეკანს, გოჩა მიქიაშვილს მიჰყავდა. მისი თქმით, ეს წიგნები ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მათში ავტორის მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარება შესაძლებელია. "მან ძალიან დიდი ჯაფა გასწია, ორ კრებულად შეკრა და გამოცა ყველა ის პუბლიკაცია, რომლებიც ორი ათეული წლის განმავლობაში პრესაში იყო გაბნეული." ნამყვანმა სიტყვა სხვა დამსწრე პირებსაც გადასცა.

არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის გიგა ბათიაშვილის თქმით, ვახტანგ დავითაია თავისი საქმიანობით მაგალითია მსოფლიო საზოგადოებაში. "ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ უკვე საკმაოდ ბევრი იციან ქართულ არქიტექტურაზე. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი კი ვახტანგ დავითაიას მიუძღვის."

დაახლოებით იგივე შინაარსის იყო აკადემიკოს შოთა ბოსტანაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვებიც. მან ვახტანგ დავითაიას გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" გუმბინდელ ნომერში პორტრეტული ფანრის სტატია - "შენი ამინდიც" მიუძღვნა.



23 დეკემბერი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
ექსპერიმენტული სცენა
"ორი ძმა"
რეჟისორი რევაზ შატაკიშვილი
დასაწყისი: 19.45
მცირე სცენა
"ვარდნილი სხეულები"
რეჟისორი ჯონათან ლივია
დასაწყისი: 19.45

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"ქალი ძაღლით"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
სოხუმის თეატრის სპექტაკლი
"ზღვა რომელიც შორია"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

კინო

რუსთაველი

"გოგონა სლაიდიდან"
დასაწყისი: 12:30, 15:00, 17:30, 20:00, 22:15
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12:15, 14:15, 16:15, 18:15, 20:15, 21:15
"თხვებზე მიშტერებული სპეცნაზი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 20.00; 22.15
"ამანათი"
დასაწყისი: 12.15; 14.30; 17.00; 19.30; 22.00
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 21.45
"2012"
დასაწყისი: 13:00, 16:00, 19:00, 22:00

ამირანი

"გოგონა სლაიდიდან"
დასაწყისი: 12:00, 14:30, 17:00, 19:30, 22:00.
(დიდი დარბაზი)
"2012"
დასაწყისი: 12:00, 17:30
"ახალი მთავარე"
დასაწყისი: 15:00, 20:00, 22:15
(მცირე დარბაზი)

გამოფენები

ეროვნული არქივი
ძველი და თანამედროვე თბილისი - ფოტოგამოფენა

გალერეა "ვერნისაჟი"
ნინო სლუპჩენკოს ნამუშევრების გამოფენა

არტ გალერეა "ლაინი"
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

მეიდან არტ ჰოლი
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

მანანა არტ სალონი
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

გალერეა "კამეა"
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა - (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

მინანქრის გალერეა "ორნამენტი"
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

საქართველო

ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

მონვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) წყლის მრიცხველების მონტაჟი პაკეტი: MCG/W/ICT/05-Kutaisi

წინამდებარე სატენდერო მონვევა წარმოადგენს სატენდერო განცხადების გაგრძელებას ზემოხსენებულ პროექტზე, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის 2 აგვისტოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინტერნეტ გვერდზე და განახლდა 2009 წლის 1 ივნისს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არის ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის ერთ-ერთი თანა-დაფინანსებელი. აღნიშნული ტენდერი განხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის „შესყიდვების პოლიტიკისა და წესების“ შესაბამისად, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, რომელიც დადგენილია ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს (ემ-სი-ჯი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შორის 2007 წლის 25 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებაში („ერთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება პარალელურ დაფინანსებაზე“).

საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დადებულია 2007 წლის 26 აპრილს („საგრანტო ხელშეკრულება“), საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (სმგფ), შემდგომში მოხსენებული როგორც „დამკვეთი“, მიიღო გრანტი (ემ-სი-ჯი გრანტი) ფონდიდან - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს, და აპირებს გრანტის ნაწილით დააფინანსოს ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი (წყლის მრიცხველები მონტაჟი) შემდგომში მოხსენებული როგორც „პროექტი“. ტენდერის პროცესის მართვასა და კონტრაქტის შესრულებას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

„დამკვეთი“ იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით, რომელიც დაფინანსებული იქნება ემ-სი-ჯი-ს გრანტის ნაწილიდან და მოიცავს შემდეგს:

სამუშაოები გულისხმობს ინდივიდუალური და საერთო მრიცხველების სამონტაჟო სამუშაოებს ქუთაისის სხვადასხვა უბნებში.

მრიცხველების კამერებს სხვა კონტრაქტორი დაამონტაჟებს. მრიცხველები, ბურთულიანი საკეტები, და უკუსარქველები სხვა მომწოდებლის მიერ იქნება მოწოდებული და დამკვეთის მიერ გადაიციტება სამონტაჟოდ.

კონტრაქტორი უზრუნველყოფს ყველა საჭირო მასალას მრიცხველების კვანძების სათანადოდ დასამონტაჟებლად. ამ მასალებს წარმოადგენს:

- პოლიტეტრაფტორეთილენის შემამჭიდროებელი სადები ხრახნული შეერთებისთვის
- ფოლადის მილები და ფასონური ნაწილები
- გადამყვანები სხვადასხვა მასალის მილების პოლიეთილენი/პოლიპროპილენი/ფოლადი შესაერთებლად. ამგვარი გადამყვანების დიამეტრები და ზომები ინდივიდუალურად შეირჩევა, რადგანაც არსებული მილების მასალა და დიამეტრი უცნობია
- მილყელები და გადამყვანები მრიცხველის კვანძის კამერაში დასამონტაჟებლად
- სხვა საჭირო მასალები კონტრაქტორის შეხედულებისამებრ

პროექტი განთავსებულია დასავლეთ საქართველოში, 230 კმ მანძილზე თბილისიდან დასავლეთით და მოიცავს ქალაქ ქუთაისის ტერიტორიას.

სამუშაოების დასრულების სავარაუდო თარიღია 2010 წლის 30 ოქტომბერი.

ემ-სი-ჯი გრანტით დაფინანსებული სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფირმებმა ნებისმიერი ქვეყნიდან, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა: ემ-სი-ჯი-ს გრანტის ნაწილით არ დაფინანსდება პიროვნების ან ერთეულების, ან საქონლის იმპორტის ხარჯები, თუ (I) რომელიმე კანონით ან ოფიციალური წესდებით საქართველო კრძალავს სავაჭრო ურთიერთობას მათი წარმოშობის ქვეყნებთან, იმის გათვალისწინებით, თუ ემ-სი-ჯი დარწმუნდება, რომ ასეთი გამონაკლისი ხელს არ შეუშლის ეფექტური კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, რომელიც საჭიროა საქონლის მიწოდებისთვის ან კონტრაქტორის შერჩევისთვის; (II) ასეთი გადახდები ან იმპორტი აკრძალულია გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანებული ერების წესდების VII მუხლის საფუძველზე; (III) ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, რომელსაც აკრძალული ან შეჩერებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებულ შესყიდვებში მონაწილეობის მიღების უფლება, ან ამერიკის შეერთებული შტატების კანონით ან ა.შ.შ. პრეზიდენტის განკარგულებით ან შეერთებული შტატების პოლიტიკის თანახმად, უფლებამოსილი არ არის მონაწილეობა მიიღოს ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსებულ შესყიდვებში, არსებული ანტი-ტერორისტული პოლიტიკის ჩათვლით.

დეტალური ინფორმაცია მონაწილეობის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით შეიძლება იხილოთ ათასწლეულის გამონვევის კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე: www.mcc.gov

კონკურსანტები მონვეულნი არიან წარმოადგინონ წინადადება მთლიან პროექტზე.

იმისათვის, რომ მინიჭებულ იქნას კონტრაქტი კონკურსანტი (ან მასთან ასოცირებული კომპანია) უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

- კონკურსანტის სამუშაო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 1,600,000 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი;
- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული ზემოხსენებული სამუშაოების მსგავსი სირთულის მქონე მინიმუმ ერთი კონტრაქტი.
- კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს კრედიტის ალების ან სხვა

ფინანსური სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობა უნდა იყოს 100,000 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი;

დ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიში მოგებისა და ზარალის ჩვენებით და აუდიტორული დასკვნა, რათა აჩვენოს კომპანიის მყარი ფინანსური პოზიცია და გრძელვადიანი მომგებიანობა.

ე) კონკურსანტს უნდა ჰქავდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ძირითადი პერსონალი შემდეგ თანამდებობებზე: შემოთავაზებულ პროექტის მენეჯერს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 წლის საერთო სამუშაო გამოცდილება, აქედან 7 წელი მსგავსი ტიპის სამუშაოზე და 5 წელი მსგავსი თანამდებობაზე.

ვ) ინფორმაცია სასამართლო პროცესის შესახებ რომელშიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა კომპანია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. საქმის წარმოების დეტალების/ისტორიის ჩვენების გარეშე.

ზ) კონკურსანტი უნდა ფლობდეს კონტრაქტის განსახორციელებლად საჭირო მანქანა-დანადგარებს ან უნდა წარმოადგინოს მათი ხელმისაწვდომობის (ქირავნობა, იჯარა, შესყიდვის ხელშეკრულება, ან სხვა) დამადასტურებელი ცნობა და უნდა მიუთითოს, რომ მას ექნება საშუალება გამოიყენოს აღნიშნული ტექნიკა შემოთავაზებული კონტრაქტისთვის. მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

იმისათვის, რომ დადგინდეს კონკურსის მონაწილის შესაბამისობა (ა) და (გ) ზემოხსენებულ ქვე-მუხლში მოცემული მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმების თანახმად, უნდა შეჯამდეს ერთობლივი საწარმოს თითოეული პარტნიორის მონაცემები; თუმცა, კონსორციუმის შემთხვევაში თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს ინდივიდუალური კონკურსის მონაწილესათვის ქვე-მუხლში (ა), (ბ) და (გ) მითითებული მინიმალური კრიტერიუმის 25 %, ხოლო მთავარმა პარტნიორმა 40 %.

ქართული კომპანიებისთვის: კონკურსის აუცილებელი პირობაა ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა საგადასახადო დავალიანება იქნას გადახდილი. საკონკურსო წინადადებაში ასევე უნდა იყოს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 200 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსანტს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილი იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება „დამკვეთს“. შექმნილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა ინარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

ბანკი რესპუბლიკა. გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო

SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with

Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 341 800 01

ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 340 80001, კოდის # 220 101 757

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

შესაბამისი მითითებით: **“მონვევა სატენდერო პაკეტის შექმნაზე N MCG/W/ICT/05-Kutaisi**

Kutaisi

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია, რომლის ფორმაც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, არანაკლებ 10 000 (ათიათასი) ა.შ.შ. დოლარზე.

წინა სატენდერო შეხვედრა დაინტერესებულ კონკურსანტებისთვის, დამატებითი განმარტებები მისაღებად, გაიმართება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2010 წლის 21 იანვარს, 16 საათზე.

საკონკურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2010 წლის 2 თებერვლისა, 14:00 სთ.** (ადგილობრივი დროით), სადაც ისინი გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:

ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი

მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150,

თბილისი 0112, საქართველო,

ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15/55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

განცხადება

2010 წლის 12 იანვარს, დღის 15 სთ-ზე ჩატარდება სს „საქაგრომანქანის“ საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) 2008 წლის შედეგების განხილვა;

2) აქციონერ მარინა ანთაძის განცხადების განხილვა ქონების გატანა-გამოყოფასთან დაკავშირებით;

3) სხვადასხვა საკითხები.

სს „საქაგრომანქანის“ დირექცია

სპორტი

თამურ ქაცხაია: "ნაქრებში არავის არ ექნება გარანტირებული ადგილი"

პირველი გვერდიდან

სულ მალე გუნდების მისაღებად მზად იქნება ტექნიკური ცენტრი "ბასა", საგურამოში, გრიგოლეთსა და ლაგოდეხში მდებარე ნაკრები გუნდების სანვრთნელი ბაზები. თუმცა, ინფრასტრუქტურული რეკონსტრუქციის მომავალი წლის განმავლობაში ვიქნებით, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში გააუმჯობესებს სპორტულ შედეგებს, ვიდრე მყისიერად. მყისიერს კი ახალი მთავარი მწვრთნელის თემურ ქაცხაიას ჯადოქრობა სჭირდება.

- ცოტა ძნელი ხომ არ არის ასეთი დემორალიზებული ნაკრების ჩაბარება, ნაკრებისა, რომელსაც მუდმივად დამარცხებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდა და ამავე დროს მომავლის იმედის ქონა?

- ეროვნული ნაკრები ჩემს საფეხბურთო კარიერაში ყოველთვის პირველ ადგილზე იყო. თამაშობდე შენი სამშობლოს თერთმეტ რჩეულ ფეხბურთელს შორის - ეს, უდიდეს პატივთან ერთად, დიდი მოვალეობაცაა. ყოველთვის ვცდილობდი, ღირსეულად მეთამაშა და თავი არ დამეხოვა. ყველაფერი გავაკეთებ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა კრიზისს თავი დააღწიოს და ბრძოლისუნარიანი, ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასანევი ძალა გახდეს. ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ჩემი და ნაკრების ფეხბურთელების სურვილი და გარჯა არ კმარა. საერთო ნარმატივებში ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს - ნაკრები, მწვრთნელები, ფედერაცია, გულშემატკივარი ერთიანი ორგანიზმი უნდა გახდეს და ამ პროექტს მთავრობაც მხარს უნდა უჭერდეს. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით განვითარდა ფეხბურთი კვიპროსზე, სადაც ვმუშაობდი და ამ ქვეყნის ნაკრები დღეს თანაბარ დონეზე ეთამაშება თვით მსოფლიო ჩემპიონს - იტალიის ნაკრებს. იგივე გზა უნდა გავიაროთ ჩვენც, რისთვისაც, ვფიქრობ, არცთუ ურიგო სასტარტო პოზიცია გვაქვს.

- უდიდესი სამუშაო გაქვთ ჩასატარებელი. პირადად მე ვერც წარმოგიდგენია, რითი უნდა დაიწყოს. თითქმის ორი თვეა, რაც მწვრთნელი ხართ, თუმცა, ჯერ გუნდი არც შეგიკრებიათ. პირველ რიგში, ალბათ, ამხანაგური თამაშები უნდა დაიგეგმოს. ვიცით, რომ 3 მარტს ესტონეთს ვეთამაშებით. კიდევ რა მატჩები იგეგმება?

- რა თქმა უნდა, მომდევნო შესარჩევი ციკლის დაწყებამდე რამდენიმე ამხანაგური თამაშის მოსწრება კარგი იქნება, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ჯერ ერთი, 3 მარტის ჩათვლით, ფიფას კალენდრის მიხედვით, ამხანაგური თამაშე-



ბისთვის სულ ორი თარიღია გამოყოფილი. მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე ფინალისტები ატარებენ ამხანაგურ თამაშებს, მაგრამ ამ პერიოდის გამოყენება სპარინგებისთვის გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ამ დროს სეზონი უკვე დასრულებულია და მომქანცველი სეზონის შემდეგ ფეხბურთელებს დასვენება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება უკუშედეგი მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, ეს ვარიანტი განხილვის სტადიაშია. ჯერჯერობით მხოლოდ ესტონეთთან ამხანაგური თამაშის დაგეგმვაა. რაც შეეხება სხვა მეტოქეებს, მოლაპარაკებას დაიწყოთ ევროპის 2012 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის შემდეგ, ესე იგი, მას შემდეგ, რაც ამ ტურნირში ჩვენი მეტოქეები გაირკვევა.

- რა პრინციპით აპირებთ ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახებას? გეყოლება თუ არა ძირითადი ბირთვი, ვისზე დაყრდნობითაც დაიწყებთ ახალი გუნდის შენებას?

- იმისთვის, რომ გარკვეულ შედეგს მიაღწიო, სტაბილურობა აუცილებელია. შემადგენლობის ხშირი ცვლა და მუდმივი როტაცია სასურველი არ არის. სამწუხაროდ, დღეს არც ისეთი მდიდრები ვართ კვალიფიციური ფეხბურთელებით. ამიტომ მაღალი კლასის თითოეული ქართველი ფეხბურთელი ჩვენთვის ძალზე ძვირად ფასობს და ყველა მათგანი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნება. ასე რომ, გარკვეული

ბირთვი ნაკრებს აუცილებლად ექნება. თუმცა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ თითოეულ პოზიციაზე რამდენიმე ფეხბურთელი აცხადებდეს პრეტენზიას. კონკურენცია ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ნარმატივისთვის. გარანტირებული ადგილი ეროვნულ გუნდში არავის არ ექნება. ნაკრებში გამოძახებისთვის, ფეხბურთელის კვალიფიკაციასთან ერთად, გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნება მის სპორტულ ფორმას და ფიზიკურ კონდიციებს.

- როდის დაიწყებთ სასულეციო საქმიანობას?

- ჩათვალეთ, რომ უკვე დაწყებული მაქვს. ამისთვის მე და ჩემი თანამემწეები უშუალოდ ვაპირებთ ევროპის იმ ქვეყნებში ჩასვლას, სადაც ჩვენი ლეგიონერები გამოდიან და მათ საქმეში ვნახავთ. იანვრის დასაწყისში ანტალიაში მივებგზავრები, სადაც ქართული, რუსული, უკრაინული თუ სხვა ევროპული კლუბები მოიყრიან თავს, რომლებშიც საქართველოს ნაკრების კანდიდატები გამოდიან. იქ დავაკვირდები ჩვენს ფეხბურთელებს.

- აპირებთ თუ არა ნაკრებში ისეთი ვეტერანი ფეხბურთელების მიწვევას, როგორებიც არიან კალაძე, კობიაშვილი, ასათიანი?

- რა თქმა უნდა - მათი სამსახური საქართველოს ნაკრებს აუცილებლად სჭირდება. მათ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა სასაცილოა. სხვა საქმეა, რომ შეიძლება მათი გამოძახების დროს გარკვეული პრობლემები შეე-

ვექმნას. ეს უფრო იმ ფეხბურთელებს ეხებათ, რომლებიც რუსეთში თამაშობენ. რუსული პრემიერლიგის ხელმძღვანელებმა გარკვეული შეზღუდვები დააწესეს უცხოელ ფეხბურთელებზე. მეტიც: ზოგიერთ კლუბს კონტრაქტშიც კი აქვს ჩადებული ისეთი მუხლი, რომელიც ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში თამაშში დაბრკოლებას უქმნის. თუმცა, ეს რუსეთში მოთამაშე ყველა ფეხბურთელს არ ეხება და თითოეული კონკრეტული შემთხვევა ცალკე განხილვის საგანი გახდება.

- რამდენად გჯერათ, რომ საქართველოს ნაკრებში ვითარების რადიკალურად შეცვლას უახლოეს საკვალიფიკაციო ტურნირში მოახერხებთ?

- ამის იმედი რომ არ მქონდეს, მთავარი მწვრთნელობის თაობაზე შემოთავაზებას არც განვიხილავდი. ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარება, ფეხბურთელების დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები, მენტალიტეტი - ეს ყველაფერი არ მესწავლება და საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ქართული ფეხბურთის პოტენციალი გაცილებით დიდია და ფიფას რეიტინგში ეროვნული ნაკრების 125-ე ადგილს ნამდვილად არ შეესაბამება. სხვა საქმეა, რომ დღეს საკვალიფიკაციო ტურნირის დაძლევაზე საუბარი უფრო კვებნად ითვლება, ვიდრე რეალობად. თუმცა, მიმაჩნია, რომ სწორედ ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ თუნდაც მომდევნო შესარჩევი ტურნირში.

"კაჭკაჭებს" ხიზანიშვილი არ ეთმობათ

საქართველოს ნაკრების მცველს ზურაბ ხიზანიშვილს "ნიუკასლთან" გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების ვადა ინაგრის დასაწყისში გასდის და ის, წესით, თავის ყოფილ გუნდში უნდა დაბრუნდეს. დაახლოებით სამი კვირის წინ ბრიტანულ მედიაში ინერებოდა, რომ ჯორდებს ქართველთან ხელშეკრულების გაგრძელება არ სურთ, თუმცა, გუშინ "კაჭკაჭების" მთავარმა მწვრთნელმა კრის ჰატონმა განაცხადა, რომ ხიზანიშვილის გუნდიდან გაშვება არ სურს.

"ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება მარლონის, დენისა და ზურაბის შესახებ. მართალია, ხიზანიშვილს იჯარის ვადა დაუსრულდა, მაგრამ ეს ავტომატურად მასთან განშორებას არ ნიშნავს. მარლონ ჰერედი, "ბოქსინგ დეის" შემდეგ, "ასტონ ვილას" უნდა დაუბრუნდეს, ხოლო დენი სიმსპონი "მანჩესტერ იუნაიტედიდან" 18 იანვრამდე განათხოვრებული. ასე რომ, უახლოეს პერიოდში სამი გადაწყვეტილება გვაქვს მისაღები. ჯერჯერობით ჩვენი აზრების საჯაროდ გამოტანას არ ვაპირებთ", - აღნიშნა ჰატონმა.

ჭანტურია - "ზენიტში"?

ორშაბათს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის სპორტულ გადაცემა "საფეხბურთო ლამეში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ 17 წლის ქართველ ფეხბურთელს გიორგი ჭანტურიას, რომელიც ამჟამად "ბარსელონაში" ირიცხება, სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" ინვევენ და ამ საკითხთან დაკავშირებით რუსული კლუბის მესვეურები პირადად მას ესაუბრნენ. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა პირობებს სთავაზობს "ზენიტი" ჭანტურიას.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივი და ყურადღაღები საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის თემურ ქაცხაიას პოზიცია, რომელიც მან ამავე გადაცემაში გამოხატა.

"ბარსელონა" ის კლუბი არ არის, რომელიც თავის ფეხბურთელებს იოლად ელევა. ყველაფერი საკმაოდ მარტივია: თუ "ბარსელონაში" ჭანტურიას სერიოზულად უყურებენ და მისი იმედი აქვთ, გამოირიცხულია, რომ "ზენიტში" ან ნებისმიერ სხვა კლუბში გაუშვან, ხოლო თუ კატალიონიელებს არა აქვთ იმის იმედი, რომ უახლოეს მომავალში ჭანტურია გუნდის ძირითადის ფეხბურთელად იქცევა, ეს უკვე სხვა ამბავია", - განაცხადა ქაცხაიამ.

მანჩინი "სიტის" გადახალისებას იწყებს

სულ ახლახან "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელად იტალიელი რობერტო მანჩინი დაინიშნა. ინგლისური მედიის ინფორმაციით, კონტრაქტის გაფორმებამდე "მანჩინომ" "სიტის" მესვეურებისგან გარკვეული გარანტიები მოითხოვა. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ გუნდი იანვრის სატრანსფერო პერიოდში საგრძობლად გაძლიერდება. ფაქტობრივად, მანჩინის მანჩესტერული გუნდის თავის ყაიდზე აწყობა სურს.

The Sun-ის ინფორმაციით, მოთამაშეთა შეძენის პარალელურად, იტალიელი მისთვის გამოუსადეგარ ფეხბურთელებსაც გამოემშვიდობება. პოტენციურ წამსვლელთა შორის, პირველ რიგში, უუილინ ლესკოტი და უინ ბრიჯი სახელდება.

მანჩინის ყველაზე დიდი სატრანსფერო ოცნება "იუვენტუსის" 25 წლის მცველის ჯორჯო კიელინის შექენაა. რობერტოს აზრით, ის კოლო ტურეს იდეალური მენეჯორი იქნება.

თუმცა, იტალიელის სურვილები მხოლოდ კიელინის შეძენით როდი იფარგლება. რობერტოს თავისი ყოფილი გუნდიდან დუგლას მაიკონისა და ივან კორდობას გადაბირებაც სურს.

მანჩინის მილანური კლუბიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის - მარიო ბალოტელის წაყვანაც სურს, მაგრამ ამ ხმების გავრცელებისთანავე მასიმო მორატის კომენტარმაც არ დააყოვნა.

"სიტის" ხელმძღვანელები ოცნებაშიც ნუ დაუშვებენ, რომ ჩვენ მარიოს შეველევი. ბალოტელი მალე ჩვენი სიმბოლო გახდება. ნორმალურად მოაზროვნე პრეზიდენტები ასეთ ფეხბურთელებს არ ყიდიან", - თქვა მორატი.

იაშვილმა წელი სიმბოლურში მოხვედრით დაასრულა

გერმანული მეორე ბუნდესლიგის პირველი წრის უკანასკნელ ტურში "კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა ალექსანდრე იაშვილმა ორი გოლი გაიტანა. "იაშკას" კარგი თამაში არც გერმანულ მედიას გამოეჩინა - გამოცემა "კიკერმა" ქართველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

ტოტის ნაკრებში დაბრუნება ცოლმაც კი სთხოვა

დაბრუნდება თუ არა ფრანჩესკო ტოტი იტალიის ნაკრებში, ეს საკითხი გაზაფხულზე უნდა გაირკვეს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე განაცხადა თავად ფეხბურთელმა. ფრანჩესკოს ნაკრებში დაბრუნება ყველა იტალიელს სურს, მათ შორის, ფეხბურთელს მეუღლეს ილარი ბლაზისაც, რომელიც, მართალია, ფეხბურთში დიდად ვერ ერკვევა, მაგრამ მეუღლესთან ერთად მუნდიალზე სამხრეთ აფრიკაში გამგზავრება სურს.

"მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში გამართება. ჩვენ იქ არ ვყოფილვართ და მინდა ფრანჩოსთან ერთად ვიმოგზაურო. ტოტი კარგი ფეხბურთელია და ის იმსახურებს ნაკრებში ადგილს. მე თუ მკითხავს რჩევას, აუცილებლად ვეტყვი, რომ ნაკრებში დაბრუნდეს. ამავე დროს უნდა ვაღიარო, რომ ფეხბურთში ვერ ვერკვევი და თამაშებს ტელევიზიითაც არ ვადევნებ თვალს. ერთხელ ფრანჩესკოც კი შემეშალა", - აცხადებს ილარი ბლაზი.

"მანჩესტერი" ფილიპ ლამს უმიზნებს

"მანჩესტერი" მზად არის, გერმანიის ნაკრები-სა და მიუნხენის "ბაიერნის" მარჯვენა მცველში ფილიპ ლამსი 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. როგორც უცხოური მედია იუწყება, "ნითელი ეშმაკების" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი უკმაყოფილოა გუნდის დაცვის ხაზში არსებული პრობლემებით. გარი ნევილი უკვე ახლოსაა კარიერის დასრულებასთან, ხოლო რიო ფერდინანდს მუდმივი ტრავმები არ აძლევს სტაბილურად თამაშის საშუალებას. გერმანელი ფილიპ ლამსი შოტლანდიელი მწვრთნელი საბოლოოდ გადაწყვეტდა დაცვის მარჯვენა ფრთაზე არსებულ პრობლემას, ახალგაზრდა რაფაელ და სილვა კი ფილიპ ლამსის ლირსეული დუბლიორი იქნებოდა. ითვლება, რომ ლამსმა შეიძლება დატოვოს "ბაიერნი", მას შემდეგ, რაც საჯაროდ გააკრიტიკა გუნდის მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი.

პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრები

Yahoo! Eurosport-მა ინგლისური პრემიერლიგის 2009 წლის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. ფეხბურთელთა შერჩევას ვებგვერდმა მარტივი პრინციპი აირჩია - 6 პრესტიჟული ბრიტანული გამოცემის (The Sun, Daily Star, Daily Mirror, Daily Mail, The Times, The Guardian) მიერ წლის განმავლობაში ამა თუ იმ მოთამაშისთვის დაწერილი შეფასებები შეაჯამა და მიღებული შედეგი მატჩების რაოდენობაზე გაყო, საიდანაც თითოეულ ფეხბურთელზე საშუალო ქულა მიიღო. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი საშუალო შეფასება "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდს უეინ რუნის ჰქონია - 7.15 ქულა.

მთლიანობაში პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

მეკარე: შუი გივენი (სიტი, 6.87)

მცველები: გლენ ჯონსონი (ლივერპული, 6.70), ჯონ ტერი (ჩელსი, 6.70), ბრენდ ჰანგელანდი (ფულემი, 6.60), ეშლი კოული (ჩელსი, 6.51)

ნახევარმცველები: აარონ ლენონი (ტოტენჰემი, 6.83), სტივენ ჯერარდი (ლივერპული, 7.03), სესკ ფაბრეგასი (6.98), ანდრეი არშავინი (7.05)

თავდამსხმელები: უეინ რუნი (მანჩესტერი, 7.15), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, 7.05)

"ჰერტა" ძლიერდება

ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მებრძოლმა ბერლინურმა "ჰერტამ" შემადგენლობა ქართველი ლევან კობიაშვილითა და ბერძენი თეოფანის გეკასით გააძლიერა. ამ გამოცდილი და ავტორიტეტული მოთამაშეების შემდეგ დედაქალაქელებმა პრალის "სპარტას" მცველს რომან გუზნიკს დაადგეს თვალი და გუშინ დასავლეთსლავთან საიჯარო ხელშეკრულება გააფორმეს. შეთანხმების მიხედვით, გუზნიკი ნახევარ წელიწადს იასპარეზებს "ჰერტაში" და თუ გუნდი უძლიერესთა რიგებში ადგილს შეინარჩუნებს, რომანს სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

"მე ვარ დიეგო"



ბიბა ბურასაშვილი

"ძალიან საინტერესო, ძალიან მაგარი წიგნია. დანარჩენი თქვენ წაიკითხეთ", - TBC ბანკის სათავე ოფისში საგულდაგულოდ მოწყობილი წიგნის "მე ვარ დიეგო" პრეზენტაციაზე არგენტინისა და დიეგო მარადონას გულშემატკივრებს აცდუნებდა მწერალი დათო ტურაშვილი, რომელმაც დიეგო არმანდო მარადონას 286-გვერდიანი ავტობიოგრაფიული წიგნი თარგმნა და გუშინ ოფიციალურადაც დაასველა.

ბევრს არ სჯეროდა, ვერც წარმოედგინა, მათ შორის, დათო ტურაშვილსაც, რომ თბილისში დიეგო მარადონას იხი-

ლავდნენ.

"არ მჯეროდა, ვამბობდი, ვარიანტი არ არის-მეთქი. ის კი თბილისში ვნახე", - მისთვის ჩვეული ემოციურობით ამბობდა დათო ტურაშვილი. მოგვიანებით მარადონას თბილისში სტუმრობით მიღებულმა ემოციებმა მწერალი სანერ მაგიდასთან მიიყვანა, ჩვენ კი - წიგნის პრეზენტაციაზე.

წინასიტყვაობაში მწერალი ნერს, საქართველოში ბობ დილანის შემდეგ ასეთი დონის ვარსკვლავი მგონი არც ყოფილაო. ეს, რასაც თვალი მოგვკარი. ისე კი...

გამოგიტყდებით, წიგნი არ ნამიკითხავს. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ბევრს არ ნაუკითხავს, მაგრამ ისეთ კაცზე ეს წიგნი, ცუდი და, რაც მთავარია, უინტერესო რომ არ იქნება, ცხადზე

ცხადია. ბოლოს და ბოლოს, დიეგო მარადონა საკუთარ თავზე მოგვითხრობს.

თუ აქამდე "მე ვარ დიეგო" მსოფლიოსთვის იყო დიდი მოვლენა, ამერიკიდან არგენტინისა და დიეგოს ქართველ ქომაგებსაც შეუძლიათ მარადონა საკუთარ თაროზე დააბინაონ, მანამდე კი მსოფლიო ფენომენის ცხოვრებას გადაავლონ თვალი. თუ სიამოვნების გახანგრძლივება გინდათ, დათო ტურაშვილი გირჩევთ, ნელ-ნელა გადაიკითხოთ წიგნი, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ ეს ძალიან გაგიჭირდებათ.

"ხშირად მეკითხებიან, რატომ მაინცდამაინც დიეგო? - რაზეც პასუხად დიეგოს სიტყვებს ვიშველიებ:

"უსამართლობას ვერასოდეს შევგუებები და ყოველთვის

სიმართლის მომხრე ვიქნები. ყოველთვის მემახსოვრება ჩემი ბავშვობის სახლი და ჩვენი სიღარიბე და ყოველთვის მეცოდინება, რომ ყველაფერს შრომითა და ბრძოლით მივალნიე.

და რასაც მივალნიე, ეს მე ვარ და ვიცი, რომ ჩემს მართვას ვერაფერ შეძლებს, რადგან მე ვარ იგივე, რაც ვიყავი და ყოველთვის ის ვიქნები, ვინც ვარ, რადგან მე ვარ დიეგო მარადონა, მე ვარ დიეგო"...

ერთი სიტყვით, "მე ვარ დიეგო" თბილისშია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დათო ტურაშვილს ლეგენდარული არგენტინელი მწვრთნელის ლუის სესარ მენოტის ავტობიოგრაფიული წიგნის თარგმნაც განუზრახავს.

მოლდოვური ნოუ-ჰაუ

წარმოიდგინეთ, ხართ მდიდარი, გიყვართ ფეხბურთი და ოცნებობთ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მონაწილეობაზე. არადა, ღმერთმა ფეხბურთის თამაშის ნიჭით არ დაგაჯილდოვათ. რა უნდა ქნათ ამ შემთხვევაში? აი, აბრამოვიჩის ასეთი ოცნება რომ ჰქონდა, "ჩელსი" იყიდა. ახლა ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს თავისი ბიჭების თამაშს და ხარობს, მაგრამ მოედანზე გასვლა და ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის მატჩში ბურთის გაგორება არ ღირსებაა.

რაც ვერ ეღირსა აბრამოვიჩს, ერთ-ერთი მოლდოვური კლუბის მეშვეობით შეიძლება ნებისმიერმა მსურველ-

მა აისრულოს, თუ, რა თქმა უნდა, ფული არ ენანება და კომპლექსები არ ანუხებს.

მოკლედ მოგიყვებით საქმის ვითარებას. მოლდოვაში არსებობს საფეხბურთო კლუბი "ოლიმპი", რომელსაც ქალაქ ბელიცაში უდევს ბინა. ეს კლუბი არც ვარსკვლავებით ბრწყინავს და არც მდიდარი მფლობელი ჰყავს. ფულის დეფიციტის პრობლემის მოგვარება კლუბის მესვეურებმა საინტერესო მეთოდით გადაწყვიტეს. ტარდება კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს 18-დან 60 წლამდე ნებისმიერ მამაკაცს. კონკურსის გამარჯვებული კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს და ითამაშებს

გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის მატჩში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ამ გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე შესვლა, დარეგისტრირება, ანკეტის შევსება და მითითებულ ანგარიშზე 300 ევროს შეტანა. ანკეტაში უნდა მიუთითოთ იმ თანხის ოდენობა, რომელსაც გადაიხდით "ოლიმპის" ძირითადში თამაშისთვის. ადამიანი, რომელიც გუნდის მესვეურებს ყველაზე დიდ თანხას შესთავაზებს, კონკურსსაც მოიგებს და კლუბთანაც გააფორმებს კონტრაქტს.

ამ ერთგვარი აუქციონის შედეგები 2010 წლის 22

მარტს შეჯამდება და გამარჯვებულს ამ დღეს გამოვლინდება.

ოლონდ არსებობს ერთი პატარა პრობლემა: გასულ სეზონში "ოლიმპმა" მოლდოვის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა, მიმდინარე სეზონში კი 29 ქულით მეოთხე ადგილზე და ჩემპიონატის ლიდერ "შერიფს" 15 ქულით ჩამორჩება. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვება "ოლიმპს" გაუჭირდება. ამრიგად, მსურველებმა ევროპის ლიგაში სათამაშოდ უნდა გადაიხადონ ფული, თუ, რა თქმა უნდა, ამ ტურნირის საგზურს მაინც მოიპოვებს "ოლიმპი".

უფრო მეტი, ვიდრე ოცნება



ბალტერმა და პლატინიმ მესის ტილომ გადასცეს

ორშაბათს, თბილისის დროით დაახლოებით ღამის 12 საათზე, შვეიცარიის ქალაქ ციურხინში "ბარსელონას" ვარსკვლავი ლიონელ მესი ფიფას გალა საღამოზე 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ისევე როგორც "ფრანს ფუტბოლის" ჯილდოს მიღების დროს, მესიმ ამჯერადაც რეკორდი დაამყარა - საერთო ჯამში 1073 ქულა მოაგროვა. აქამდე საუკეთესო მაჩვენებელი - 1047 ქულა კაკას ჰქონდა. მესის შემდეგ მოდიან კრიშტიანუ რონალდუ (352 ქულა), ხავი (196), კაკა (190), ინიესტა (134)

მესი რომ ამ ტიტულს იმსახურებდა, ამაზე დავაც არ არის საჭირო. ალბათ ძნელია ფეხბურთის ისტორიაში გაიხსენო რომელიმე მოთამაშე, რომელმაც წელი ისეთივე წარმატებით ჩაატარა, როგორც მესიმ.

2009 წელს ლიონელ მესი ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის თასი, ესპანეთის სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. არგენტინელი ვარსკვლავი მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული ჰყავდათ ფრანგულ "ფრანს ფუტბოლს" და ინგლისურ "უორლდ სოკერს". გარდა ამისა, მესი დასახელდა გასული სეზონის ესპანეთის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის, ასევე ცოტა ხნის წინ დასრულებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად. 2009 წელს მესიმ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა.

მესი გახდა პირველი არგენტინელი, რომელიც ფიფამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

რაც შეეხება ქალთა შორის საუკეთესოს, აქ ზედიზედ მეოთხედ აღიარეს ბრაზილიის ნაკრების 23 წლის ფორვარდი მარტა ვიეირა და სილვა.

ლიგის მეოთხედფინალში "პორტუს" კარში გატანილი გოლისთვის.

ფიფას გალა საღამოზე გაირკვა 2009 წლის გუნდიც, რომელიც პროფესიონალი ფეხბურთელების გამოკითხვის შედეგად დასახელდა.

მეკარე: კასილიასი (რეალი)
მცველები: დანი ალვესი (ბარსელონა), ჯონ ტერი (ჩელსი), ნემანია ვიდიჩი (სერბეთი), პატრიკ ევრა (მანჩესტერი)

ნახევარმცველები: ხავი ერნანდესი (ბარსელონა), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), სტივენ ჯერარდი (ლივერპული)

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (ბარსელონა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი/რეალი)
დანარჩენი ჯილდოები ასე განაწილდა: ფეხბურთის მხრივ, წლის განმავლობაში ყველაზე განვითარებული ქვეყნის სტატუსი ჩინეთმა მიიღო; ფეარ-პლეის პრიზით დაჯილდოვდა ან გარდაცვლილი სერ ბობი რობსონი; ფიფას პრეზიდენტის ზუპ ბლატერის პრიზი კი იორდანის დედოფალმა რაინამ მიიღო.

გთავაზობთ ლიონელ მესის ინტერვიუს, რომელიც ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე ფეხბურთელის დაჯილდოების შემდეგ გამოქვეყნდა.

- გილოცავთ. მესამე ცდაზე ეს პრესტიჟული ჯილდო მოიგეთ. რას გრძნობთ ახლა?

- ბედნიერი ვარ. ეს ჯილდო იმითაც არის განსაკუთრებული, რომ საუკეთესოდ გასახელებენ მწვრთნელები და კოლეგები. მე ვარ პირველი არგენტინელი, ვინც ეს ჯილდო მოიგო და ეს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობს მგვრის.

- თქვენს გარდა, კიდევ ვინ იმსახურებდა ამ ტიტულის მოგებას?

- "ბარსელონას" ნებისმიერი ფეხბურთელი. თუ გავითვალისწინებთ იმ წარმატებას, რომელსაც წლეულს "ბარსამ" მიაღწია, ჩემი თანაგუნდელები ამ ტიტულის ღირსნი არიან.

- "ბარსელონასთან" ერთად ყველა ტიტული მოიგეთ. აგრეთვე თქვენ გაიმარჯვეთ

ყველა შესაძლო ინდივიდუალურ კონკურსში. როგორ შეაფასებთ მიმავალ 2009 წელს?

- ყველაფერი კარგი და პოზიტიური ამ წელს უკავშირდება. ყველა გუნდური ტიტული მოვიგეთ, მე ინდივიდუალური ჯილდოები დავამატე. ბედნიერი ვარ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი თანაგუნდელებს გარეშე ამ წარმატებას ვერ მივადგენდი. ეს არა მარტო ჩემი, არამედ "ბარსელონას" აღიარებაცაა.

- 2009 წლის რომელი ეპიზოდი დარჩება ყველაზე მეტად თქვენს მხსიერებაში?

- ალბათ ჩემპიონთა ლიგის ფინალი "მანჩესტერ იუნაიტედთან" და ამ მატჩში გატანილი ჩემი გოლი.

- ნომინანტთა შორის თქვენთან ერთად "ბარსელონას" სკოლის კიდევ ორი ალზრდილია - ხავი და ინიესტა. გამოდის, რომ კატალონიური სკოლის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელები უმაღლეს დონეზე მუშაობენ.

- რა თქმა უნდა. და არა მარტო ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელები, არამედ მთლიანად კლუბი.

- ეს წელი ნამდვილად საუკეთესოა "ბარსელონას" ისტორიაში. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს სეზონი თქვენს კარიერის საუკეთესო სეზონია?

- უდავოა, რომ ეს განსაკუთრებული წელია. რაც შეეხება ჩემს კარიერაში საუკეთესო სეზონს, ჯერ ახალგაზრდა ვარ და იმედი მაქვს, საუკეთესო წლები წინ მაქვს.

- ხუთ ფინალში ოთხი გოლი გაიტანეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ გადამწყვეტ მომენტში თავის გამოჩენა შეგიძლიათ.

- ალბათ. ისე კი, უბრალოდ, გამიმართლა. თუმცა, ჩემს მიერ გატანილი ყველა გოლი ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა.

- 2009 წელი თქვენი ოცნების წელია?

- უფრო მეტი. ასეთ რამეს ყველაზე თამამ ოცნებებშიც ვერ ვინატრებდი. იმაზე, რაც 2009 წელს მოხდა, ვერც ვიოცნებებდი. თუმცა, ეს რეალობაა.

- ამავე წელს საკმაოდ გაგიჭირდათ არგენტინის ნაკრებთან ერთად მუნდიალის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება.

- დიას. საკვალიფიკაციო ეტაპი მძიმედ დავინყეთ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად დასრულდა - არგენტინის ნაკრები მუნდიალზე ითამაშებს.

- ახლა 2010 წელზე ვისაუბროთ. რა იმედებით ხვდებით მომავალ წელს?

- ეს უმნიშვნელოვანესი წელი იქნება უამრავი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, გველის მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის მოგება არგენტინის ნაკრებთან ერთად მინდა. ამავე დროს "ბარსელონასთან" ერთად ვეცდები, შევიწინააღმდეგო ყველა ის ტიტული, რომელიც 2009 წელს მოვიგეთ. ეს ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე არავის გაუკეთებია.

- მსოფლიო ჩემპიონატი ახსენეთ. როგორ შეაფასებთ ჯგუფს, რომელშიც არგენტინის ნაკრები ითამაშებს?

- უდავოდ რთული ჯგუფია. შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სუსტი გუნდები თამაშობენ. ნებისმიერი გუნდი, რომელიც მუნდიალზე გადის, საკუთარი ქვეყნის ღირსებისთვის თამაშობს. ასეთ ვითარებაში წარმატების მისაღწევად შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გამოავლინო.

- მინდა შეგახსენოთ ისტორია: 1986 წელს არგენტინის ნაკრებს გაუჭირდა საკვალიფიკაციო ეტაპის ბარიერის გადალახვა. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის...

- იმედია, ისტორია გამეორდება. თუმცა, 2010 წელსა და 1986 წელს შორის მინც დიდი განსხვავებაა. მაშინ არგენტინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ფავორიტის სტატუსით ჩავიდა, ახლა კი ჩვენ ფავორიტად არავინ გვთვლის. ასე რომ, ყველას სიურპრიზს შევთავაზებთ.

დიდი თამაშის პატარა ბიბანტი

მას იცნობს მთელი მსოფილო. ძნელია ილაპარაკო ამ ფეხბურთელზე და გვერდი არ აუარო ბანალურ ფრაზებს, თუმცა ვეცდებით ოდნავ სხვა რაკურსით დაგანახოთ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლიონ მესი. ვიამბობთ რამდენიმე ფაქტს მისი ცხოვრებიდან, რომელიც, შესაძლოა, აქამდე არ გაგიგონიათ. თქვენ გინახავთ მისი ფანტასტიკური გოლები, ზღაპრული დრიბლინგი... თუმცა ყველაფერს ეს შესაძლოა არც ყოფილიყო.

ლიონელი არგენტინის პროვინცია სანტა-ფეს უმსხვილეს ქალაქ როსარიოში დაიბადა. ხუთი წლის ასაკში მარჯვედ აგორებდა ბურთს მამის - ხორხეს მეთვალყურეობით, რომელიც საზოგადოებრივ სანყისებზე ავარჯიშებდა საბავშვო კლუბ "გრანდოლის". იმხანად უფროსი მესი მეთვალყურეობით ქარხანაში მუშაობდა, ლიონელის დედა კი დამლაგებელი იყო.

11 წლის ასაკში ლიონელი "ნიუელზის" საბავშვო სექციამში მიიღეს, მერე კი ლეგენდარულ "რივერ პლეიტშიც" მიიწვიეს. ლიონელის მამა ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო, თუმცა, სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა და სწრაფად შეიცვალა იმედგაცრუებით. ერთ მშვენიერ დღეს ხორხე კლუბში დაიბარეს და უთხრეს: "თქვენი შვილი უდავოდ ნიჭიერია, ბრწყინვალე მონაცემები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადაა - პორმონების უკმარისობა ჭირს. ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზების თანახმად, 140 სანტიმეტრზე მეტი არ გაიზრდება. 11 წლისაა და უკვე აღარ იზრდება. სამწუხაროა, მაგრამ..."

11 წლის მესი 132 სანტიმეტრი იყო და ექიმებმა ასეთი საშინელი დიაგნოზი დაუსვეს. "მე სამედიცინო დახმარება მჭირდებოდა, თანაც სასწრაფოდ. მოცდა არ შეიძლებოდა", - იხსენებდა შემდეგ ლიონელი.

პატარა მესის მკურნალობისთვის თვეში დაახლოებით 900 დოლარი იყო საჭირო. ამ თანხის გაღება არც "რივერმა" ისურვა და არც "ნიუელზმა". ამდენი ფული არც ლიონელის ოჯახს ჰქონდა. მამა იძულებული გახდა, დახმარებისთვის ევროპული კლუბებისთვის მიემართა. ხორხეს ერთადერთი თხოვნა იყო, კლუბებს მხოლოდ ენახათ მისი ვაჟი და შემდეგ მიეღობ გადაწყვეტილება. თუმცა კარგა ხნის განმავლობაში ლიონელის მამის თხოვნა უყურადღებოდ რჩებოდა.

2000 წელს მესის ორჯანამა გადაკვეთა ატლანტის ოკეანე და ბარსელონაში დაიდო ბინა. პატარა ლიონელმა "ბარსელონას" საფეხბურთო სკოლაში მიიყვანა. "ორი წუთი დამჭირდა იმისთვის, რომ მიემხვდარიყავი, თუ რა საგანძური მოვიდა ჩვენთან. სისწრაფე, ტექნიკა - ამ პატარა ბიჭს ყველაფერი ჰქონდა. მაშინვე ვთქვი: ეს ბიჭი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება-მეთქი", - იხსენებს კარლეს რეკსაჩი.

სიმბოლური კონტრაქტი, რომელიც კარლეს რეკსაჩმა ხორხე მესის გაუფორმა, ხელსახოცზე დაინერა. "ბარსელონას" ახალგაზრდული გუნდის პირველივე თამაშში მესიმ ხუთი გოლი გაიტანა.

